



იმისთანა წმინდა საცემში, დღემდე ბეჭდული სიტყვაა, ცყვილებით და ჩაბრებით ბუდის გაფანტა ყულა უკადრისადაც უსამაგლესია.

**დაარსებულია 1918 წელს.**

პარასკევი, 30 ოქტომბერი, 2015 წელი.

№204 (7849)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.

**„გვარამია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დააკავონ“** ③

**„ყარაგანიშვილები სრუ მფლობელები არიან, ნაძვილი მფლობელი სააკაშვილია“** ③

**გარისუანის მოხარებისთვის მოქალაქეებს აღარ დააპატიმრებენ** ②

**პოლიტიკოვსკი ელჩები საქართველოს წინააღმდეგ** ②

**გლეხების მოკრიბი თავსატეხი**

**რამზარ სილიძე: საქართველო მხოლოდ სამუშაო ქვეყანა არ არის!** ⑥

**მეგობრისკაცის კავება წლები** ⑦

## ღლის ამოცანურიდან

# ეს რა პოლიტიკური ქეცი გვჭირს!..

— რა გახდა, კაცო, ეს რუსთავი ორია, ცრუსთავი ორი თუ გვარამია, მეტი საქმე არა აქვს ამ ქვეყანას, თან სამართლიანობის აღდგენას ვითხოვთ და თან ვებრძვივით ამ საქმეს.

— ხო, ხედავ, თურმე მაგ ცრუსთავი ორზე და მაგის ვითომ „თავისუფალ სიტყვებზე“ ყოფილა დამოკიდებული საქართველოს მომავალი, ყველა ჩვენგანის ხელოვნური დღე.

— მართლ საქართველოსი კი არა, მთელი მსოფლიოს დემოკრატიის ბედიო, კაცო.

— მაგას ძეხნილი სააკაშვილის მიერ გადირეგულირებული ნაპროკურორალი თუ სამგზის ნაშინსტრალი გვარამია კი არა, ანზორი, თვითონ ჩვენი პლასტიკური ვეტო პრეზიდენტიც დაუფარავად აცხადებს.

## რასაც ამ დღეებში დააკავონ...

— მართლ ეგენი რომ იყვნენ, ჯანდაბას, ეგრეთ წოდებული ხელისუფლების კრიჭაში ჩამდგარი არასამთავრობოების უმრავლესობა სულ მაგათი ფულით ფინანსდება.

— აგერ, ახლა თავიანთი ყოფილი დიპლომატების კლუბიც ჩამოუყალიბებიათ. ხო, ნახეთ, გუშინ რუსთავი ორის ეკრანზე რა დღეში იყვნენ ვინმე ჟღერტი და ბადრიძე, „ოცნების“ არა-

აცხადებს, თუ ამ მოსყიდულმა ურთმელიძემ ჩვენს სასარგებლოდ არ გამოიტანა განაჩენი, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავემორჩილებით, ჩვენს ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას გამოვიყენებთ და კომპანიაში არავის შემოვუშვებთ სასამართლოს გადამწყვეტილების აღსასრულებლად.

— არა, ძმაო, ამ აშკარად პროვოკატორი გვარამიას საქციელმა ხელისუფლებას, ბოლოს და ბოლოს, უნდა აუხილოს თავი, გაუნათოს გონება და ერთხელ და სამუდამოდ ერთიანად მოსთხოვოს პასუხი მთელ ანტი-ეროვნულ ეგრეთ წოდებულ ნაციონალურ პარტიას ყველა იმ უბედურებისათვის, რაც ყველა ჩვენგანს დაგვატყენს თავს გრძელი ცხრა წლის განმავლობაში...

— როგორც იტყვიან, დრო აღარ ითმენს, დუღილის წერტილმა უკვე უმაღლეს დონეს მიაღწია, ხელისუფლებას კეთილი პარტნიორებისკენ ამო ცქერა აღარ გამოადგება, თუ მართლა ხელისუფლებამ და არისამე ძალა შესწევს, დამოუკიდებელი ძალა, ახლა გამოჩნდება.

— ამ პოლიტიკურ ანტისანტარის რაც შეეხება, მალე უნდა მოეღოს ბოლო, არადა, სახელმწიფოს სხეული საბედისწეროდ დაინორხლა ანტისანტარადგომებივი სიბინძურით.

— უკეთესი იქნება, თუ პირდაპირ ვიტყვით. დიასაც მაგ პოლიტიკურ ანტისანტარის მოწყვეტა ამდენი პოლიტიკური ტილიც, რწყილიც და ბადლინჯოც, რომელთაც ენის ქავილის გარდა, ბევრს გულის მოფხანის ფინიც აუტყენს. ერთი სიტყვით, პოლიტიკური მუნი თუ ქეცი გვჭირს.

— ამიტომ დროული განზანაა, ბატონო, საჭირო. მაგ პოლიტიკურ ანტისანტარის რაც შეეხება მალე ერთი კარგი კანონიერი პოლიტიკურივე შამუნი მოუხდება.

— სად არის, თორემ კი... ლმერთმა ქნას, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც მინცდამინც დიდი იმედი არა მაქვს.

— ვნახოთ, კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევს ეს შემალონებელი ქავილი და ფხანა.

— ამას თან ისიც ემატება, რომ ქავილისა და ფხანის დროს ძალიან ძნელია ოცნებებში ყოფნა...

— იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, ჩვენ ლიტრები ველაპარაკებით ერთმანეთს კოკის გასაგონად, რომელიც ერთხელაც წყალზე გატყდება.

— თუმცა კოკის პატრონს გააჩნია. ძალიან ბევრი იმის ტკუასა და სიფხიზლეზე დამოკიდებული.

ხალხს უსმენდა გურამ წიკლაური



— ნახე, როგორ გაუტყდა სასახლეში ყოფნა. უნახავმა რა ნახაო, სწორედ ისეა მაგ ერთი კაცის მიერ არჩეული პრეზიდენტის საქმე. არ გამოვალ, არ გამოვალ, არ გამოვალ, ბავშვებით ჩაბჭირებული იმეორებს... აირჩიეს და ხო ნახე, რა აბრუნდები ქნა...

— თუ არა ის ერთი კაცი, ეგ იმ სამოცზე მეტ პროცენტს მიიღებდა კი არა, ალბათ, საერთოდ არც აირჩევდნენ.

— ისე, ეგ თუ სამოცზე ცოტა მეტი პროცენტით გაპრეზიდენტდა, ისიც იმ ერთი ძლიერი კაცის სახელის წყალობით, „მესტროს“ გამოკითხვით, გენაცვალე, ხალხის მმ პროცენტმა სტალინის ძეგლის დადგმა მოითხოვა და რატომ ამას არავინ ითვალისწინებს?!

— ვინც ხალხს ყურს არ უდგებს, ბოლოს ხომ იცი, რაც მოხდის... ისე მოუვა ყველას... ედგათ ეს არტისტი პრეზიდენტ რეიგანის ძეგლი, იარონ ხინკალანჭამზე კურტუმის მქნეველი ბუშის ქუჩით და ელოდონ ოდესის გუბერნატორს, რომელიც ხან თვითონ გვითვლის მალე ნახვის მოკითხვას და ხან ყოფილი საშრობების, ბოდიში, უშიშროების საბჭოს მილიონებმჭამია ბოკერისა ვნა-პირით გველაპარაკება, ეს აუხდენელი ოცნება მალე დაამთავრებს თავის უმწეო ბოგინსო...

— მაგას მართლ ბოკერია კი არა, ფიურერ სააკაშვილის ლოდინით დაღლილი მთელი ნაციონალური „მეზუთე კოლონა“ იმეორებს ოცდაოთხი საათი... ეს ბაქრაძეო, ეს ბარამიძეო, ეს გაბაშვილიო, ეს ნადირაშვილის ქალიო, ეს ჭიბერაშვილი თუ კანდელაკიო... რაკი დარწმუნდნენ, უძალიო ქვეყანაში ვართო, ჯოხები გადაყარეს და ენები გაიმხვილეს...

— შეტევაზე არიან, ბატონო, მოსვენება დაუკარგეს ქვეყანას, სწორედაც სამამაძლოდ იკლავენ თავს თავიანთი რუბორი ცრუსთავი ორისთვის, საიდანაც დღედაღამ ტვინს ურეცხავენ გულუბრყვილო, მიაშიტ ადამიანებს.

კომპეტენტური დიპლომატები ქვეყანას კი არა, მხოლოდ ერთ პარტიას, კერძოდ, ივანიშვილს ემსახურებიანო...

— ყველა ბოზს ყველა ბოზი რომ ჰგონია და ყველა ქურდს კიდევ ქურდი, ეგენი სწორედ ისე არიან. რასაც თვითონ შერებოდნენ, ეგ ნაციონალების მართლაც მონები, ახლა ამჟამინდელ დიპლომატებს აბრალებენ... თავი ისე მოაქვთ, თითქოს სულ ტალეირანები და მეტერინებები იყვნენ, რომელთა ფასიც არ ვიცით...

— მე მივიკირს, ჩემო კარგო, ეგ ათას ოსრობაში გარეული ნაციონალები უარესს რატომ არ სჩადიან ამ ფარ-ხმალდაყრილი და მართლ ევროპის გასაკვირი დემოკრატიის „მშენებლობით“ დაკავებული მეოცნებეების ხელში.

— აგერ, ბატონო, სადამდე მიდის ეს უაღვიროდ დარწმენილი, ძველი ცოდვებით სავსე გუდამოკიდებული, მთელი ქვეყნის წინაშე ავად გაუტყფრებული გვარამია. სახალხოდ

იძლება მალე ერთი კარგი კანონიერი პოლიტიკურივე შამუნი მოუხდება.

— სად არის, თორემ კი... ლმერთმა ქნას, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც მინცდამინც დიდი იმედი არა მაქვს.

— ვნახოთ, კიდევ რამდენ ხანს მოგვიწევს ეს შემალონებელი ქავილი და ფხანა.

— ამას თან ისიც ემატება, რომ ქავილისა და ფხანის დროს ძალიან ძნელია ოცნებებში ყოფნა...

— იმ ერთი ანდაზისა არ იყოს, ჩვენ ლიტრები ველაპარაკებით ერთმანეთს კოკის გასაგონად, რომელიც ერთხელაც წყალზე გატყდება.

— თუმცა კოკის პატრონს გააჩნია. ძალიან ბევრი იმის ტკუასა და სიფხიზლეზე დამოკიდებული.

# პრემიერი ამერიკისა და ისრაელის ელჩებს შეხვდა

საბარტემელუს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს იან კელის შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენები, რეგიონში არ-

ურთიერთობებს და მჭიდრო თანამშრომლობას. ამავ კონტექსტში აღინიშნა ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ვიზიტის მნიშვნელობა, რომელიც აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის შესხვედრაში მიიღებს მონაწილეობას.

შხარებმა ასევე ისაუბრეს „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ შესახებ. აშშ-ის ელჩმა საქართველოს პრემიერ-მინისტრს მაღალი დონის ფორუმის წარმატებით ჩატარება მიულოცა. ამერიკელ დიპლომატს საქართველოს მთავრობის მეთაურმა მთავრობის ადმინისტრაციაში უმასპინძლა.



სებული ვითარება და აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის საკითხები განიხილეს. საუბრისას კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ორი ქვეყნის მეგობრულ

## პოლიტიკური ელჩები საკუთარი სამოქმედო გეგმით

„დიპლომატიის კლუბის“ ინფორმაციით, საქართველოს საელჩოების მხრიდან პოლიტიკური და არაკორექტული განცხადებები იგზავნება. ამის შესახებ „დიპლომატიის კლუბის“ წარმომადგენელმა მამუკა ჟღერტიყვი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში განაცხადა. „პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენმა რამდენიმე კოლეგამ, პირადად მეც, მივიღეთ კონკრეტული შეტყობინებები ჩვენს ევროპელი და არამართო ევროპელი პარტნიორებისგან, სადაც საუბარია კონკრეტულ არასწორ და არაკორექტულ მიდგომაზე, რომელიც ფიქსირდება. კერძოდ, საქართველოს იმ საელჩოების მიერ, რაზეც შემიძლია მე დღეს საუბარი, სადაც ელჩები დაინიშნენ პოლიტიკური ნიშნით და იქამდე მათ არ უშუშავიათ სისტემაში, აგრეთვე პოლიტიკურ განცხადებებს, სადაც საუბარია კონკრეტული მმართველი ძალის განცხადებებზე. აქ ორი პრობლემაა – ეს განცხადება შინაარსობრივად არის არაკორექტული, მიმართულია „ევროპის სახალხო პარტიის“ წინააღმდეგ, რაც თავისთავად კონკრეტულ ნეგატიურ შედეგებს გამოიღებს საქართველოსთვის შემდგომში. გარდა ამისა, თვითონ დიპლომატიურ სამსახურს არ ევალდება და მათ აკრძალული აქვთ ასეთი პოლიტიკური საქმიანობა. ჩვენს განცხადების მიზანია, კიდევ ერთხელ მივმართო საქართველოს ხელისუფლებას, გააკეთოს ყველაფერი და აღმოფხვრას ასეთი ფაქტები“, – განაცხადა ჟღერტიყვი.

## 306 რომორ ფიქრობს?

# მარისუანის მოხმარებისთვის მოქალაქეებს აღარ დასაბამებენ

24 ოქტომბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე: „ბეჟა წიქარაშვილი – საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ საქმესთან დაკავშირებით, მოსარჩელეს არაკონსტიტუციურად მიიჩნიათ ის გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) საფუძველზე, პირადი მოხმარების მიზნით დიდი ოდენობით მარისუანის შექენა-შენახვისათვის პირი ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით ვადით შეიძლება თითხმეტ წლამდე.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სადავო ნორმით განსაზღვრული სანქცია შეუსაბამოდ მძიმე და არაპროპორციული იყო და სასტიკი, პატივისცემა და ღირსების შემლახველ სასჯელს წარმოადგენდა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება არ უკავშირდება ისეთ შემთხვევებს, როდესაც აშკარა და დასაბუთებულია ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზანი (მისი რაოდენობისგან დამოუკიდებლად), ან შენახული (შექენილი) მარისუანის რაოდენობა იმდენად დიდია, რომ იგი გასაღების მიზნის არსებობაზე მაღალი ალბათობით მიუთითებს.

უმრალოდ, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მარისუანის ოდენობა – 70 გრამამდე (რომლის შექენა-შენახვაშიც ედებოდა ბრალი მოსარჩელეს), თავისთავად არ მიუთითებდა გასაღების მიზანზე. ამდენად, აღნიშნული ქმედებისთვის სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება წარმოადგენდა არაპროპორციულ, სასტიკ და ღირსების შემლახველ მოპყრობას და წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, დიდ ოდენობად ითვლება 50-დან 500 გრამამდე მარისუანა, გასაკვირია, საკონსტიტუციო სასამართლომ რატომ არ ჩათვალა დიდი ოდენობად მოსარჩელის მიერ სადავოდ გამოხდარი 70 გრამამდე გამოშვებული მარისუანა, მაგრამ, როგორც განმარტავენ, სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქმეზე მოწვეული მოწმეებისა და სპეციალისტების განმარტებები და მიიჩნია, რომ 70 გრამამდე გამოშვებული მარისუანა არ წარმოადგენდა იმდენად დიდ ოდენობას, რაც გასაღების მიზნის არსებობას დაამტკიცებდა. ის, რომ მარისუანის მოხმარებისთვის მოქალაქეებს აღარ დასჯიან, ხომ არ ნაახალისებს ნარკომანიას ჩვენს ისედაც მწირი გეოგონის მცირე ქვეყანაში? მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გილა ლეჟავა აცხადებს, რომ მთავარია, მარისუანის მოხმარებული დაისაჯოს. როგორ დაისჯება – ამის ნიშნის გზით, შინაპატიმრობით თუ ჯარიმით, ამას არ აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ, ყველამ უნდა იცოდეს, რომ მარისუანა, როგორც ნარკოტიკი, ძალზე უარყოფით შედეგს იწვევს, მათ შორის, წამალზე დამოკიდებულების თვალსაზრისით. გელა ლეჟავას თქმით, ევროპა ახლა ძალზე შენუხებულია, რადგან განუზომლად იზრდება მარისუანა-

ზე დამოკიდებულ პირთა რაოდენობა. ბევრი მათგანი ხდება არა მარტო მარისუანაზე, არამედ სხვა უფრო მძიმე ნარკოტიკზე დამოკიდებული. ამიტომ, ექსპერტის აზრით, ამის დაუსჯელოდ დატოვება არ შეიძლება. „ახლა საუბარია, ალკოჰოლი უფრო მეტ ზიანს აყენებს ადამიანს თუ ნიკოტინი? ალკოჰოლიც დიდ ზიანს აყენებს იმიტომ, რომ მას დაუსჯელოდ მოიხმარებენ. მარისუანა რომ დაუსჯელოდ მოიხმარებოდა, ალბათ, უფრო მეტ ზიანს მოიტანდა. ამიტომ ამის გაჯიბრება, რომელი უფრო მეტ ზიანს მოიტანს, დაუშვებელია. მე არ ვიცი, საკონსტიტუციო სასამართლომ კონკრეტულად რა შემთხვევის გამო მიიღო გადაწყვეტილება, მაგრამ არსებობს გაეროს კონვენციები, რომლებსაც ჩვენც ვართ მიერთებული, სადაც მარისუანა შეტენილია ნარკოტიკების სიაში და გავრო ყველა სახელმწიფოსგან მოითხოვს, მიიღოს ქმედითი ზომები, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს ნარკოტიკის მოხმარება. როდესაც ჰოლანდიასა და ნიდერლანდებს ვედრებით, სადაც მარისუანის მოხმარება დაშვებულია, რატომ გვაიწყდება, რომ თუნდაც ნიდერლანდები პროფილაქტიკაზე, მკურნალობაზე, რესტრუქციონალიზაციაზე ადაპტაციებზე, ერთ ადამიანზე გადასარჩენი შემთხვევით, წელიწადში 118 ლარს ხარჯავს. განა შეიძლება, ჩვენ ისე მოვიქცეთ, როგორც ნიდერლანდები, სა-

დაც მთელი სისტემა შექმნილი იმისთვის, რომ როგორმე ეს უარყოფითი შედეგი, რომელიც შეიძლება მარისუანამ მოიტანოს, განეიტრალოს. საშუალოდ, ევროპაში ერთ ადამიანზე 60 დოლარი სწორედ ამისთვის იხარჯება, იქ უამრავი დამხმარე საშუალება, ცენტრები და პროგრამები შექმნილი“, – განმარტავს გელა ლეჟავა.

თელავის სახმარეო ნარკოლოგიური ცენტრის დირექტორი ლია პირბაღიძე აცხადებს, რომ მოქალაქე არ უნდა ისჯებოდეს იმის გამო, რომ ის დაავადებულია, დაავადებულს მკურნალობის საშუალება უნდა ეძლეოდეს. თუმცა, მეორე მხრივ, საქართველოს იურიდიული ნორმების მიხედვით, მარისუანა ჩვეულებრივ ნარკოტიკულ საშუალებად ითვლება და კანონმდებლობით ისჯება მისი მოხმარება. „შესაძლოა, ლოგიკური იყოს საზოგადოების იმ ნაწილის მოსაზრება, რომელიც თვლის, რომ მარისუანის მოხმარება დასჯადი უნდა იყოს, რადგან საქართველოს სპეციფიკა უნდა გაითვალისწინონ. ადამიანთა გარკვეული ნაწილისთვის დასჯადობა მაინც შემაკავებელი ფაქტორია. იმის შიშით, რომ დასჯიან, ბევრი თავს არიდებს მარისუანის მოხმარებას. ჩემი პაციენტების ნაწილიც სწორედ დასჯადობის გამო არიდებს თავს მარისუანის მოხმარებას, რადგან არავის სურს სანქციების დაწესება. თუმცა ამის გამო ასე ხელაღებით დაპატიმრებაც არ შეიძლება, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამაზე არ უნდა იყოს, მაგრამ სანქციები უნდა შენარჩუნდეს. მარისუანის პირველ მოხმარებაზე აქამდე ადმინისტრაციული სასჯელი 500 ლარით განისაზღვრებოდა, წელიწადის განმავლობაში განმეორების შემთხვევაში კი, უკვე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დგებოდა“, – აცხადებს ლია პირბაღიძე.

## საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარუს“ განსხვავდება

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარუს“ დამფუძნებელი და თავმჯდომარე, პოეტი რეზო ამაშუკელი ინტერვიუში საზოგადოებას ერისა და ქვეყნის საჭიროებოტო საკითხებზე სამსჯელოდ. შეკრება შედგება ამა წლის 2 ნოემბერს, ორშაბათს, 17 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის დიდ დარბაზში. დასწრება თავისუფალია, მოსაწვევების გარეშე. გთხოვთ, მობრძანდეთ!



## „წარინჯისფარი რთველი“

# გლეხების მორიგი თავსატეხი

საბარტემელოში წლეულს ციტრუსის უბრუნედეტოდ დიდი რაოდენობის მოსავალს ელიან. თუმცა, „წარინჯისფერი რთველის“ მოახლოების წინ გლეხები უკვე საუბრობენ რეალიზაციის მიმართულეები შექმნილ პრობლემაზე. მირაბ ნოღბიძე, ქობულეთში მცხოვრები: „10 ტონაზე მეტ მოსავალს ველოდები, რადგან წლეულს მოსავლიანობა ორჯერ მეტია, მაგრამ აღარ ვიცი, უნდა მიხაროდეს თუ მწყინდეს. რაც მეტია მოსავალი, მით მეტი მუშახელია საჭირო. სანაცვლოდ დაქირავებულ მკრეფავს დღეში 30 ლარი უნდა გადაეხადო. როგორც გვეუბრებიან, ყველაზე უხარისხო მანდარინი 20 თეთრი ეღირება. ერთ კვირაში დავიწყებ კრეფას და მანამდე თადარიგის დაჭერა გადავწყვიტე – მსურველები არიან, ოღონდ კარგი ხარისხის მანდარინი, ნარჩევი 50-60 თეთრზე მაღალ ფასში არავის უნდა. აჭარის მანდარინს სიტკობ აკლიაო და უფრო მაღალ ფასში ვერ ჩავიბარებთ, დიდ ბაზარზე მოთხოვნა არ არისო, მითხრეს“.



ლოდებით და დამატებითი ობიექტების ძებნაც მოგვიწევს. ხელი-სუფლება დახმარებას გვპირდება. ბათუმში საკოორდინაციო შტაბი იხსნება, რათა მანდარინის მიღება-ჩაბარების პროცესი ორგანიზებულად წარიმართოს. გლეხებს, რა თქმა უნდა, ყოველთვის მაღალ ფასში უნდათ მოსავლის ჩაბარება, მაგრამ კონკურენცია დიდია. ჯერჯერობით არა-

ვინ იცის, რამდენი იქნება ხარისხიანი პროდუქტის ფასი, ამას ბაზარი განსაზღვრავს“. მანდარინის რეალიზების პრობლემას უჩივიან სამეგრელოშიც. როგორც ხობელმა დათო ქირიამ აღნიშნა, საუკეთესო ხარისხის მანდარინის ფასი 80 თეთრია, რაც ციტრუსის პლანტაციების მეპატრონეების აზრით, ძალიან დაბალია. მისივე თქმით, დასავლეთში ნესტიანი ადგილია და ციტრუსი მცირედ ყინვასაც ვერ უძლებს. ამიტომ მას განსაკუთრებული მოვლა საჭიროდება, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. კომპანიები სამრეწველო დამუშავებისთვის განკუთვნილ ერთ კილოგრამ მანდარინს 20 თეთრად შეისყიდებიან, მაგრამ როგორც კი სეზონი დაიწება, უზარმაზარი რიგები დგება და ამასობაში ისე ფუჭდება ნაყოფი, რომ 10 თეთრად თუ ჩაიბარეს, მადლობები უნდა ვიყიოთ. ახალი წარმოების აშენებას კი აანონსებენ, სადაც ციტრუსის დასაწყობებენ საშუალება გვექნება, მაგრამ ჯერჯერობით ეს პრობლემა მოუგვარებელია

ლალი პაპასკირი

305 305 არის

„ყარამანიშვილები სრუ მფლობელები არიან, ნამდვილი მფლობელი სააკაშვილი“

მიუხედავად იმისა, რომ ძმები ყარამანიშვილი „რუსთავი-2“-ის ოფიციალურ მფლობელებად ითვლებიან, „რუსთავი-2“-ის საქმეზე ქიბარ ხალვაშის სარჩელის განხილვა საქალაქო სასამართლოში ისე სრულდება, რომ ყარამანიშვილები ასპარეზზე არ გამოჩნებიან. მათ ამ დავის შესახებ არც განცხადება გაუვრცელებიათ.

მფლობელების ნაცვლად, აქტიურობს ნაციონალური მოძრაობა, ასევე, ამჟამად პარტიის პოლიტსაბჭოს წევრი ზაზა ბიბილაშვილი და არსის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია. მეტიც, როგორც ამბობენ, თავად ყარამანიშვილები სასამართლო პროცესის შესახებ განცხადების გაკეთებას არ გეგმავენ. მეტიც, ზაზა ბიბილაშვილი, რომელიც სასამართლოზე „რუსთავი-2“-ის და ასევე, ყარამანიშვილების ადვოკატის სახელით გამოდის, რეალურად, არა ყარამანიშვილებმა, არამედ ტელეკომპანიის გენერალურმა დირექტორმა აიყვანა.

ყარამანიშვილების დუმილი და ნაციონალური მოძრაობის აქტიურობა ეჭვებს აჩენს, რომ ყარამანიშვილები ამ ტელევიზიასთან არავითარ კავშირში არ არიან. ამ დრომდე ყარამანიშვილების მხოლოდ ფიზიკური არსებობა დასტურდება, რაც შეეხება „რუსთავი-2“-ს, მათი შემხებლობა ამ ტელეკომპანიასთან არ დასტურდება.

ჟურნალისტი შალვა რამიშვილი აცხადებს, რომ ყარამანიშვილების დუმილი ეჭვს იწვევს. მისივე განცხადებით, ყარამანიშვილები არ არიან „რუსთავი-2“-ის რეალური მფლობელები და არც არასოდეს ყოფილან. „ხალხს ამხელა ქონებას ართმევენ და ხმას არ იღებენ, ამით ყველაფერი გასაგებია და ეს ჰიპოთეზებზე დაფუძნებული ეჭვი არ არის, ყარამანიშვილები არ არიან „რუსთავი-2“-ის მფლობელები და არც არასოდეს ყოფილან. ესენი არიან ცრუ მფლობელები, ნამდვილი მფლობელი სააკაშვილია. ამას არც გვარამია უარყოფს, როდესაც ამბობს, რომ ძალიან ხშირად ესაუბრება სააკაშვილს „რუსთავი-2“-ზე“.

საკაშვილი მართავს ამ ტელევიზიას, ის გასცემს დირექტივებს, თუმცა გვარამია ამბობს, ეს მხოლოდ რჩევების სახით ხდება. ცხადია, რომ „რუსთავი-2“-თან ყარამანიშვილები არავითარ კავშირში არ არიან და საერთოდ ჩამოშორებული არიან ამ პროცესებს, არც აინტერესებთ რა ხდება“, - აცხადებს for.ge-სთან საუბრისას შალვა რამიშვილი.

რაც შეეხება ნაციონალური მოძრაობის და ამჟამად პარტიის პოლიტსაბჭოს წევრის, ბიბილაშვილის აქტიურობას, როგორც რამიშვილი აცხადებს, ის ნაციონალური მოძრაობის წევრია.

„ზაზა ბიბილაშვილი არის ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ხოლო „რუსთავი-2“ არის მიზა სააკაშვილის - ყველაფერი გასაგებია. საინტერესო არის ერთი დეტალი: „რუსთავი-2“ მოსახლეობას მოუწოდებს, გამოდით, დემოკრატიის საფრთხეშიაო, მაგრამ ამის მიუხედავად, საზოგადოება არ გამოდის. რატომ? მიზეზი ნათელია, „რუსთავი-2“-მა ვერ მოახერხა დისტანცირება ნაციონალებისგან. ერთ-ერთი პარტიული ლიდერი და ყოფილი პარტიული დირექტორია, ხოლო ადვოკატი, შესაბამისად - ნაციონალობის ერთ-ერთი ლიდერი, ხალხს აქვს რწმენა, რომ თუ მხარს დაუჭერენ „რუსთავი-2“-ს, ისინი ამით მხარს დაუჭერენ სააკაშვილს და ნაციონალობას. ამიტომ არ უჭერს ხალხი მათ მხარს“, - აცხადებს შალვა რამიშვილი.

ჟურნალისტი ლევა კურდღელი დარწმუნებულია, რომ ყარამანიშვილები არ გამოჩნდებიან. მისივე თქმით, გასაგებია, რა სქემაა და ვის წარმოადგენენ. ჟურნალისტი ამბობს, რომ ამ ადამიან-

ნის უკან გაცილებით სერიოზული გავლენიანი ფიგურა დგას.

„ყარამანიშვილები არც გამოჩნდებიან. სულ მქონდა კითხვა, ნიკა გვარამია რატომ იღვწის ამდენს, მესმის, რომ ძალიან მაღალი ხელფასი აქვს, მაგრამ არც ერთი ნაციონალი არ იკლავს თავს, ბევრი საერთოდ გაერიდა ამ სიტუაციას. რატომ არის ეს ადამიანი ფრონტის ხაზზე გამოშვებული? - გვარამიას აქვს კონკრეტული დავალება, რომ ყველაფრის ფასად შეინარჩუნოს ეს მდგომარეობა. თორემ, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტები რას კარგავენ, ერთ დირექტორს, რომელიც სიტყვის შეცვლის საშუალებას არ აძლევთ.

ძალიან ბევრს ვიცნობ, რომლებიც ასე არ ფიქრობენ, მაგრამ ასე იძულებული არიან ამ თამაშის წესით ითამაშონ. გასაგებია, ეს ყარამანიშვილები ვინც არიან და რას წარმოადგენენ. მათი სახელის სხენება საერთოდ არ ყოფილა და მე ძალიან მიკვირს რატომ არ იღებენ ხმას ამ საქმის გარშემო. ყარამანიშვილები მხოლოდ ფიზიკურად არსებობენ, ესენი არიან ე.წ. ფიგურები, რომელთა საშუალებით გადის ძალიან ბევრი ფული ქვეყნიდან“, - აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ლევა კურდღელი.

მართა ლაბაძე

ინფორმაცია თემაში

ახლას იტყვიან, პრეზიდენტის რჩევას არ ითვალისწინებენო?

ტიმეოპოპანია „რუსთავი-2“-ის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ სსდმ-ის დღისთვის, 11:00 საათისთვის გადადო.

სსდმ-ის გადადების მიზეზი მოპასუხე მხარის შუამდგომლობა იყო, რომელიც მოითხოვდა, რომ მათ არ მიეცათ სათანადო ვადა. „რუსთავი-2“-ის საქმეზე ექსპერტის დაკითხვის გასაანალიზებლად. კერძოდ, ადვოკატები აცხადებენ, რომ მათ უკვე გამოითხოვეს სსდმ-ის ოქმი, რათა ექსპერტის ჩვენების სტენოგრამის გაანალიზება მოხდეს. სწორედ ამისთვის, ადვოკატების თქმით, მათ სჭირდებათ დრო, რათა მოხდეს ექსპერტის პასუხების გაანალიზება და პასუხების მოზიდვა.

აღნიშნული შუამდგომლობა მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ დააკმაყოფილა. გარდა აღნიშნული შუამდგომლობისა, მოპასუხე მხარეს ჰქონდა ასევე მეორე შუამდგომლობაც, რომელიც ეხებოდა ექსპერტის ეროვნული ბიუროს ექსპერტის გიორგი ჩადუნელის განცხადების საქმეზე დართვას, რომელიც აცხადებდა, რომ ის ესწრებოდა „რუსთავი-2“-ის საქმის ექსპერტის ივანაშვილის დაკითხვას სასამართლო პროცესზე. მოსამართლემ მოპასუხე მხარის ეს შუამდგომლობაც დააკმაყოფილა.

პროპაგანდა

შინაზან საქმეთა სამინისტრო მიზანმიმართულ დეზინფორმაციას უწოდებს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებას, თითქოს იგი ფლობს უტყუარ ინფორმაციას, რომ მს-ს სპეციალური დანიშნულების რაზმები, ტელეკომპანიაში შეჭრის მიზნით, გადაყვანილია ვაზარმულ მდგომარეობაზე. როგორც მს-ში აცხადებენ, გვარამიას მედიაამბარტვა ემსახურება მხოლოდ საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და დაძაბულობის ესკალაციას.

„პრაქტიკულად გარანტირებულია, რომ მოსამართლე ურთმელიძე გამოიტანს უკანონო გადაწყვეტილებას. არსებობს რისკი, რომ ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ იქნება მიქცეული აღსასრულებლად და ჩვენს ეზოში ვიხილავთ სპეციალური დანიშნულების რაზმს. ეს ყურმოკერით ნათქვამი არ არის. ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად უტყუარი ინფორმაცია, რომ სპეციალური დანიშნულების რაზმი და ძალები გადაყვანილია ვაზარმულ მდგომარეობაზე და შესაძლებელია, მიიღონ ბრძანება და ამ ბრძანების ობიექტი იქნება „რუსთავი-2“, თავისუფალი სიტყვა და ამ ქვეყანაში დემოკრატიული, ღირსეული და თავისუფალი მომავალი“, - აღნიშნა გვარამიამ, რომლის განცხადებით ამ ქვეყნის მომავალი გადის „რუსთავი-2“-ზე.

ჟურნალისტი კობახიძე - რა შეიძლება გახდეს სპეცრაზმის „რუსთავი-2“-ში შესვლის სამართლებრივი საფუძველი? - ნიკა გვარამიამ უპასუხა, რომ სამართლებრივი საფუძველი არც დღევანდელ ხელისუფლებას და არც მოსამართლე ურთმელიძეს არ სჭირდება.

„დღევანდელი ხელისუფლება გასულია კონსტიტუციის და სამართლის მოთხოვნებიდან, დღითი დღე კარგავს ლეგიტიმაციას, შესაბამისად, ნებისმიერ ვითარებაში ეს არის მოსალოდნელი და ამის რისკი მაღალია. ფორმალური წინაპირობა ამისა შეიძლება, განდეს მოსამართლე ურთმელიძის მიერ გამოწვეული საადრულულებო ფურცელი, რომელსაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში, ხაზგასმით ვამბობ, არავითარ შემთხვევაში არ დავემორჩილებით, რამდენადაც მოსამართლე ურთმელიძის ყველაფერს გადაწყვეტილებას ამერიკის ვიცე-ლაიფი როგორც უკანონოს, როგორც კონსტიტუციის წინააღმდეგ“, - აცხადებს გვარამია.

მისივე თქმით, გამოიყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა შესაძლებლობას და კომპანიაში არ შეუშვებენ იმ პირებს, ვინც კომპანიას დაასრულებს და ეთერში დატოვებს იმას,



„ბპარამის ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ დააკაპონ“

რაც უნდა ხელისუფლებას. ეს კომპანია არის ხალხის სამსახურში, სიმართლის სამსახურში. გვარამია ირწმუნება, რომ კონსტიტუციით გარანტირებულ ყველა უფლებას გამოიყენებს და დაიცავს მოქალაქეების თავისუფლებას. გვარამია მოქალაქეებს მოუწოდებს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია არა „რუსთავი-2“, არამედ სიტყვის თავისუფლება და ამ ქვეყნის ღირსეული თავისუფალი მომავალი, „რუსთავი-2“-ის ამ ქვეყნის მთავარი და მთავრობისგან დამოუკიდებელი ერთადერთი არხი, მედიის სადარაჯოზე დადგენ.

„დაიცავით ჩვენი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, დაიცავით თქვენი სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, დაიცავით თქვენი შვილების ღირსეული და თავისუფალი მომავალი. დადგეთ ჩვენს გვერდით ხელისუფლები სათიდან. იმდენად, რამდენადაც არსებობს არა მხოლოდ უკანონო გადაწყვეტილების გამოტანის რისკი, არამედ არსებობს რისკი, რომ ეს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ იქნება მიქცეული აღსასრულებლად და ჩვენს ეზოში ვიხილავთ სპეციალური დანიშნულების რაზმს“, - განაცხადა ნიკა გვარამიამ.

იურისტი ირმა ჭკადუა for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ გვარამიას განცხადებას კავშირი არა აქვს თავისუფალ სიტყვასთან,

რადგან მისივე თქმით, გვარამია თავად გადის კონსტიტუციური სივრციდან, როდესაც ყოველგვარი ფაქტების გარეშე აცხადებს, რომ ტელეკომპანიაში იგეგმება სპეცდანიშნულების რაზმის შეჭრა.

„გვარამია გავიდა კონსტიტუციური სივრციდან და მისი ეს განცხადება არის იმ სერიოზულობის ახალი ნაწილი, რომელსაც მისი რეესორებით გვაყურებინებდა, როგორც არის ე.წ. ჯაშუშების საქმე, მოდელირებული ქრონიკა და ა.შ. ჩვენ გვახსოვს გვარამიას განცხადებაც და „იმედში“ სპეცრაზმის შევადრდა.

„რუსთავი-2“-ს არავინ არ უფარდება, თუმცა, ამას თვითონ ითხოვს გვარამია თავისი განცხადებებით და ქმედებებით. გვარამიასა და მისი ჯგუფისგან მოსალოდნელია სხვადასხვა ტიპის პროვოკაციები იმისთვის, რომ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყროს“, - აცხადებს ირმა ჭკადუა.

იურისტი განცხადებით, ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი ყველაფერს აკეთებს დაპირისპირების გამოსაწვევად.

„გვარამია გადავიდა მარაზში და ყველაფერს აკეთებს, რათა სამართალდამცავები გარკვეულ პროვოკაციაზე წამოვიდნენ და ის დააკაონ. იმედს ვიტოვებ, რომ სამართალდამცავი უნებმა მსგავსი ტიპის პროვოკაციას არ

წამოეგება. ნაციონალებს აქვთ გარკვეული რესურსი, რომ აღჭურვონ ადამიანების კატეგორია და ვრცელდებენ ინფორმაციას, რომ სხვადასხვა ადგილებში ინფორმაციას ადამიანები. დიანაც, ამიტომ არის დამოტყუებული ის სათვალთავლო კამერები, რომ მსგავსი ტიპის პროვოკაცია იყოს დაფიქსირებული“, - განაცხადა ირმა ჭკადუამ.

ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი აცხადებს, რომ ის ისტერიული ფონი, რაც სასამართლო პროცესს ახლავს, კარგად დაგეგმილი ქმედების შედეგია. მისივე თქმით, რაც უფრო მეტია ასეთი ისტერიული ფონი, მით უფრო კმაყოფილი რჩება ამ აურზაურის დამკვეთი.

„მათთვის მოსალოდნელი იყო იმ ფორმის გამოყენება, რაც ბოლო დღეებში ხდება. ამიტომაც ცხადია, რომ ამ ისტერიის და პროვოკაციის დამგვერდები, კიდევ უფრო მაღალი ისტერიის შექმნას ცდილობს. ჩვენი მოსახლეობისათვის ნაკლებად დასაჯარებელია საუბარი სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე. საინტერესოა, ბოლო სამი თვის განმავლობაში რა ჰქონდათ სათქმელი ქართულ ჟურნალისტებს, რაც ვერ გამოთქვან? ასეთი რამ რომ მომხდარიყო, უკვე ჩამოყალიბებული იქნებოდა „რუსთავი-3“, „რუსთავი-4“ და „რუსთავი-5“, - აცხადებს სოსო ცისკარიშვილი.

ექსპერტი ამბობს, რომ მისთვის ნაკლებად დამაჯერებელია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის ოინები და თვისის, რომ გვარამია სამართლებრივი სივრციდან გავიდა.

„ადამიანი, რომელზეც ვსაუბრობთ, არის გაქნილი სახელმწიფო მოხელე, რომელსაც კარგად აქვს თავისებულება საზოგადოებისთვის მიუღებელი სხვადასხვა სქემა. მას უყვრია „რუსთავი-2“-ის მთელი საინფორმაციო სივრცე და ცდილობს კვლავ სიცრუის ტირაჟირებას და გულაწუყებული მანდილოსნების მხარდაჭერით ისეთი ვითარების შექმნას, რომელიც მოწონებული იქნება მისი დამკვეთების მიერ.

ჩვენ გვახსოვს 2007 წლის 7 ნოემბერი, როდესაც ამ ბატონმა და მისმა ხელისუფლებამ, ლამის, სახელმწიფო გადატრიალებაში დაადასაშუადა ჟურნალისტი ნათია მიქიაშვილი, რასაც მოჰყვა ტელეკომპანია „იმედის“ დაბრუნება. რასაკვირველია, გვარამიას არ სურს ჩაუფუშული ბუშტივით დარჩეს. მის ჩანაფიქრში, ალბათ, იქნება ის, რომ უფრო გმირული შედეგი მისცეს ამ მარცხს და სწორედ, რომ ამიტომაც არის ამდენი სათვალთვლო კამერების გარშემო მოქცეული“, - აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას სოსო ცისკარიშვილი.

თამაზ ძარჩავა

ძვენიერ ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შემუშავებულია საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ათწლიანი გეგმა. კონკრეტულად, რას ითვალისწინებს იგი, რა შინაარსისაა და რა სამომავლო პერსპექტივები ისახება მისი განხორციელების შედეგად? – ამის თაობაზე გვესაუბრება საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი რეზაზ ბრეზილაძე.



## ათწლიანი განვითარების გეგმა: „განათლებული მოსახლე“

– „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ათწლიანი გეგმა“ ქვეყნის ენერგეტიკის სამინისტროს დავალებით და დაფინანსებით შემუშავდა საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისა და თავდა სამინისტროს სპეციალისტთა მონაწილეობით, – ამბობს ბატონი რეზაზი. – 2025 წლამდე განერილი გეგმის მიზანია, ქვეყანა რაც შეიძლება მოკლე დროში გათავისუფლდეს უცხო ქვეყნებზე დამოკიდებულებისგან, ამალდეს მისი ელექტროენერჯით მომარაგების სეგმენტში ენერგოუსაფრთხოების დონე. ელექტროენერჯით მომარაგების მოცულობის გაზრდაზე მთავრობა ყურადღებას უფრო იმ მიზეზით ამახვილებს, რომ ენერგოუსაფრთხოების სხვა სეგმენტებში ამის გაკეთება შეუძლებელია, რადგან საქართველოს დიდი ოდენობით არც გაზის მარაგი აქვს და არც ნავთობისა ეროვნული მუდრეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოთხოვნების დასაკმაყოფილად.

დედა და მწყობრში ჩადგება, იქიდან ელექტროენერჯის გამოსატანად სოფელ ჯვარში 50-კილოვატიანი ღია გამანაწილებელი ქვესადგური უნდა აშენდეს. იგი წყალტუბოს გავლით ზესტაფონის 500-კილოვატიან ქვესადგურს დაუკავშირდება, რის შედეგად ქვეყნის პერიმეტრზე 500-კილოვატიანი სიმძლავრის ენერჯორგოლი შეიკვრება, რაც საგრძობლად აამაღლებს ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით ენერჯორგოლიდან ზესტაფონამდე ერთი 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი მოდის, რომელზეც ავარიის დროს, ფაქტობრივად, მთელი აღმოსავლეთ საქართველო ითიშება. ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედებისა და ელექტრომომარაგების მეორე რგოლის მწყობრში ჩადგომის შემდეგ კი პირველი რგოლის დუბლირების შესაძლებლობა გაჩნდება, რომელიც ზესტაფონიდან ქსნის ქვესადგურში, მერე გარდაბნიდან ახალციხეში გადადის და იქიდან ისევ ზესტაფონს უერთდება, რაც ქვეყნის ენერგოსისტემის საიმედოობას საგრძობლად აამაღლებს.

ჩატარებული ღონისძიებები საკმაოდ მრავალფეროვანია და მიზნის მისაღწევად საკმაოდ დიდი ძალისხმევა და სოლიდური ფინანსური სახსრებია საჭირო. ამასთან, კიდევ ერთხელ საზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დღესდღეობით საქართველო წლის ცივ პერიოდში დიდი ოდენობით ელექტროენერჯიას შეისყიდის. ეს გარემოება, უმთავრესად, იმითაა განპირობებული, რომ, მართალია, ენერჯორგის მიერ გამოშვებული ელექტროენერჯის 40 პროცენტი აფხაზეთს მიაქვს, 60 პროცენტი კი – საქართველოს, მაგრამ, ყველაფერი ასე მარტივად სულაც არ გახლავთ: აფხაზეთის მხარეს გამოშვებული ელექტროენერჯის 40 პროცენტი მთელი წლის მანძილზე მუდმივად ამ ოდენობით კი არ მიაქვს, ზამთარში ეს წილი... 97-98 პროცენტამდე(!), იზრდება, ჩვენ კი ალარაფერი გვრჩება, რაც განსაკუთრებით იანვარ-თებერვალში ყველაზე მეტად საგრძობია და ძნელი გადასატანი.

კონკრეტულად თუ ვილაპარაკებთ, უახლოეს ათწლეულზე განერილი გეგმა საქართველოს საკუთარ ენერგეტიკულ ჰიდრორესურსებზე დაფუძნებული ბაზის განვითარებას ითვალისწინებს. ძირითადი აქცენტი სწორედ ამ მიმართულებაზეა გამხვავებული და გეგმაში კონკრეტულადაა მოცემული, თუ როგორ უნდა განხორციელდეს უახლოეს წლებში შესაბამისი მშენებლობები, კერძოდ, დასახლებულია რამდენიმე დიდი ჰიდროელექტროსადგური. მათ შორის, კერძოდ, ნახსენებია ხუდონჰესი, ნენსკრაჰესი, ნამახვანის ჰესების კასკადი. ესენი იქნება ყველაზე დიდი ჰესები, დანარჩენები კი – როგორც საშუალო, ისე მცირე ჰესები, რომლებიც საქართველოს ფაქტობრივად მთელ ტერიტორიას მოიცავს.

გარდა ამისა, ახლადმიღებული გეგმით გათვალისწინებულია საქართველოს საექსპორტო ენერგოპოტენციალის გაზრდა – ერთი 220-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზი ბათუმში იქნება. შემდეგ გეგმაშია სომხეთთან კავშირის გაძლიერება – ორ ქვეყანას შორის 500-კილოვატიანი გადამცემი ხაზი აშენდება. თავის მხრივ სომხეთს 400-კილოვატიანი ხაზით კავშირი ექნება ირანთან და, წელან ქსანის ელექტროსადგური რომ ვახსენებ, ახალი 500-კილოვატიანი ხაზით რუსეთთან შეერთდება, რის შედეგად საქართველო-რუსეთის ელექტროენერჯითობის პოტენციალი 1000 მეგავატით გაიზრდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალი ხაზი საშუალებას მოგვცემს, ელექტროენერჯია ირანში ტრანზიტით გავაძაროთ.

აქედან გამომდინარე, ჩვენ გვინდა, რომ საქართველო საკუთარი ელექტროენერჯით სრულად იყოს უზრუნველყოფილი, განსაკუთრებით კი ზამთარში. თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ ჰიდროენერჯეტიკის განვითარების ათწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ჰიდროელექტროსადგურების მწყობრში სრულად ჩადგომის შემდეგაც კი, ქვეყნის მთლიანი ენერგოსისტემის მიერ გამოშვებული ელექტროენერჯია მოსახლეობისა და ეროვნული მუდრეობის მოთხოვნებს სრულად მაინც ვერ უზრუნველყოფს. ამიტომაცაა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში კიდევ დამატებით გათვალისწინებულია 500-მეგავატის სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მშენებლობა. იგი ისეთივე ტიპისა იქნება, როგორიც ცოტა ხნის წინათ გარდაბანში 230-მეგავატიათ თბოელექტროსადგური. მისი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით ზუსტად დადგენილი არ არის, მაგრამ, სავარაუდოდ, ის აღმოსავლეთ საქართველოში, ძირითად მომხმარებელთან, ანუ თბილისთან ახლოს აიგება.

როგორც ვიცით, ჩვენში ჰიდროენერგეტიკული რესურსები არათანაბრადაა განაწილებული – დიდი ნაწილი დასავლეთშია თავმოყრილი, მაგრამ ახალი გეგმის უდავოდ დადებითი მხარე სწორედ ისაა, რომ ჰესების მშენებლობა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილშიცაა გათვალისწინებული.

აქვე იმასაც ვიტყვი, რომ გეგმაში ჩადებულია ისეთი ობიექტები, რომელთა მშენებლობა უკვე დაწყებულია და ზოგიერთი მათგანი რამდენიმე წლის განმავლობაში მწყობრში თანდათანობით ჩადგება, მათ შორის, აჭარისწყალზე. მტკვარზე სამუშაოები ჯერჯერობით საპროექტო სტადიაზეა, იგეგმება 16 ჰიდროელექტროსადგურის აშენება, რომელთა ჯამური სიმძლავრე 350 მეგავატს გადააჭარბებს.

თავისთავად ცხადია, რომ ახალი ელექტროსადგურის ქვეყნის ერთიანი ენერგოსისტემაში ჩასართავად, საჭიროა სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარება. ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია, რადგან, ვთქვათ, მას შემდეგ, რაც ხუდონჰესი აშენ-

იმ შემთხვევაში, თუკი დასახული გეგმები მთლიანად წარმატებით განხორციელდება, 2025 წლისთვის საქართველო რეალურად ელექტროდამოუკიდებელი ქვეყანა გახდება.

აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო აღნიშნული გეგმების განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანეს ფინანსური უზრუნველყოფის მხარეზე. იმის გამო, რომ საქართველოს ამ მასშტაბის პროექტების დამოუკიდებლად ფრთაშესხმის ეკონომიკური შესაძლებლობები არა აქვს, ბუნებრივია, რომ საქმეში უცხოელი ინვესტორების ჩართვა იქნება აუცილებელი. უნდა ითქვას, რომ ამჟამად მიმდინარეობს სათანადო მოლაპარაკებები საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან იმის თაობაზე, რომ თუკი რომელიმე კონკურენტული ობიექტით დაინტერესებული ინვესტორი გამოჩნდება, მაშინ დაკრედიტების თაობაზე საგნობრივი ლაპარაკი დაიწყება, როგორც ეს ნენსკრაჰესის შემთხვევაშია, რომელსაც „კორეა ჰაიდრო“ აშენებს. სახსრებს ამ ჰესის მშენებლობისთვის – მილიარდ დოლარს – წილობრივად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და კორეის „ექსიმ ბანკი“ გამოყოფენ. თავად ჰესის მშენებლობა-ექსპლუატაციისას კი ასეთი ფორმულა იმოქმედებს: კომპანია მას ააგებს, 35 წლის მანძილზე მის საკუთრებაში მყოფ ობიექტებზე ოპერირებას განახორციელებს, შემდგომ კი სახელმწიფოს უსაყიდლოდ გადასცემს. იქნებ ვინმეს 35 წელი ერთოდ დიდ დროდ მოეჩვენოს, მაგრამ სხვა პირობებით ინვესტორი არ შემოდიოდა, რადგან საქართველო მაღალი რისკის ქვეყანაა მიჩნეული. თუმცა აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მსგავსი ფორმულები ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ჩვენ მეზობელ თურქეთში წლების მანძილზე წარმატებით მოქმედებს და მისი ელექტროენერგეტიკა სწორედ ამ სისტემის წყალობით მომძლავრდა, ამიტომ მისი საქართველოში დამკვიდრება ძალიან კარგი საქმეა. ამის მიზეზი საკმაოდ მარტივია. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო ასეთ მნიშვნელოვან ობიექტს დაისაკუთრებს, შემდგომ საქმე ელექტროენერჯის ტარიფის კორექტირებაზე აუცილებლად მიდგება, ხოლო მისი შემცირება კი ყველას ერთიანად წაგვაგდება.

ყველა სიკეთესთან ერთად, სადაც კი, ასეთი დიდი ობიექტები შენდება, იმ მხარეების ეკონომიკისთვის, ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის და უშუალოდ მოსახლეობისთვის უდიდესი დადებითი შედეგი მოაქვს – ვითარდება ინფრასტრუქტურა, ადგილობრივ ბიუჯეტებში სოლიდური გადასახადები შედის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით ხალხი საქმდება და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება.

უდიდესი მნიშვნელობისაა ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხებიც. როცა კონკრეტული ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე მიდგება საქმე, არც ერთხელ ნება არ გაიცემა, თუ აღმოჩნდება, რომ ის გარემოს ძალიან დიდ ზიანს აყენებს. ამის გარდა, არის ბევრი ეკონომიკური საკითხიც, მაგალითად, გამოშვებული ელექტროენერჯის მომხმარებელთან სიახლოვე, ტარიფი და სხვ., რომელთა შესახებ ლაპარაკი, როგორც ჩანს, ამ გრანდიოზული გეგმის განხორციელების კვალდაკვალ გვექნება.

ოთარ ტურაბელიძე

### დედაპალატი

თბილისში წყლის გადასახადის გადამხდელთა ორი კატეგორია: ერთი გადასახადს იხდის სულადობრივად, მეორე კი – მრიცხველებზე ანაზღაურების მიხედვით.

მოსახლეობის ძირითადი ნაწილი, ხშირ შემთხვევაში, სასმელ წყალს არაციონალურად მოიხმარს, მის ხარჯს მნიშვნელოვნად დაზიანებული მილები ზრდის. წყლის დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით, მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება საერთაშორისო კარგად აპრობირებული პრაქტიკაა.

სულადობრივ გადასახადთან შედარებით, გამრიცხველიანების უპირატესობაზე საუბრობს ენერგომპლექსის ხელმძღვანელი სალომე ვარდიაშვილი.

– ხშირად ხდება ისე, რომ ბინაში რეალურად შესაძლოა ერთი ადამიანი ცხოვრობდეს, მაგრამ ჩანერილები არიან ოჯახის სხვა წევრებიც, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით რეგისტრაციიდან მოხსნას ვერ ახერხებენ. შესაბამისად, ამ შემთხვევაში გადასახადი გაცილებით მეტი მოდის. რეალურად, ერთი ადამიანის მიერ მოხმარებული

### წყალი „ანგარიშით“ იქნება

წყალი, რა თქმა უნდა, ვერ გადააჭარბებს სულადობრივ გადასახადს. პირადად მე, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე და ბუნებრივი რესურსების დაზოგვაზე ორიენტირებული ადამიანი, ვფიქრობ, რომ რაც უფრო მეტი გამრიცხველიანება მოხდება, უკეთესია, რადგან წყალი, როგორც ბუნებრივი რესურსი, დაიზოგება. ჩემი აზრით, როცა მომხმარებელი უარს ამბობს გამრიცხველიანებაზე, უფრო ინფორმაციის ნაკლებობასთან გვაქვს საქმე. შეიძლება აბორენტის ფიქრობდეს, რომ მრიცხველით ანგარიშის შემთხვევაში მეტი თანხის გადახდა მოუწევს, ვიდრე ამ ეტაპზე იხდის.



როგორც კომპანია GWP საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განმარტავენ, გამრიცხველიანება არ წარმოადგენს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ვალდებულებას, შესაბამისად მის დასასრულებლად არანაირი ვადა არც არსებობდა და არც არსებობს.

– აღრიცხვის კვანძის მოწყობის საფასური, რასაც განსაზღვრავს სემეკი, სადღესოდ დამოკიდებულია წყლის მრიცხველის დიამეტრზე. რაც შეეხება საფასურის გადახდის პირობებს, ეს კომპანიასა და აბონენტს შორის შეთანხმების საფუძველზე, აბონენტის სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, ინდივიდუალურად განისაზღვრება. ამ ეტაპზე ძირითადად კერძო სახლებზე ვმუშაობთ, მრავალბინიან კორპუსებში დროებით არ მიმდინარეობს გამრიცხველიანების პროცესი, თუმცა კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, პრობლემას ინდივიდუალურად გადავწყვეტთ, – აღნიშნეს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერში“.

ძირისტინო ბამთინაძე

# მეცნიერების ქეშმარიტი რაინდი

აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის დაბადებიდან 110-ე წლისთავის გამო



მასთან ურთიერთობაში არ შეიძლება არ გვეგრძნო სითბო, სიკეთე, მაღალი კულტურა, უბრალოება, თავმდაბლობა, თანადგომა და პატივისცემა. მის პიროვნებაში პედანტობის ნათამაშის ვერ აღმოაჩენდი. თავისუფალ დროს საოცრად უყვარდა თავის მეგობრებთან, კოლეგებთან, სტუდენტებთანაც კი ექსკურსიები, მოლხენა და პურობა. ვერ იტანდა ხელმოცარულთა ქედმაღლობას, ყოყმობას, ადამიანის უპირველეს ღირსებად თავმდაბლობა მიანდა, ყველგან და ყველავინში ამალღებულს, მშვენიერსა და ლამაზს ეძებდა. კაცურად იცხოვრებდა და დიდებულადაც შეასრულა დიდი მოვალეობა თავისი ხალხის წინაშე. დატოვა შესანიშნავი ნაშრომები. მეუღლესთან, ელენე მდივანთან ერთად სამშობლოს აღუზარდა თეატრისა და კინოს უთვისაღიარო ნაშრომადგენელი — თენგიზ ჩანტლაძე და ფილოლოგი ლია ჩანტლაძე. ამჟამად ბატონი ვასილ სიცოცხლე მის შვილიშვილებსა და შვილთაშვილებში გრძელდება.

აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის სსოვნა მუდამ დარჩება მომავალი თაობების მესხიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

## სათაურის ამ საში სიტყვით შეიძლება დავასახიანოთ ჩინებული მეცნიერი და პედაგოგი, შესანიშნავი მეგობარი და სამაგალითო მამულიშვილი, აკადემიკოსი ვასილ ჩანტლაძე.

დიდი და ფასდაუდებელი ბატონი ვასილის მეცნიერული ღვაწლი ფულის, კრედიტისა და ფინანსების გენეზისის განსაზღვრაში. მას ეკუთვნის ორიგინალური განმარტებები ფინანსური მეცნიერების საგნის მეთოდისა და ამოცანების შესახებ. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მონოგრაფიები — „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“ და „ფინანსური თეორიის საკითხები“.

შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ბატონი ვასილის ყველა ნაშრომი, სტატია თუ ზეპირი გამოხატვა, სიახლით სუნთქავს. ბატონმა ვასილმა, დიდმა პატრიოტმა, კვლევითი მუშაობის ძირითად საგნად განიხილა ეროვნული აზროვნების უმდიდრეს და მრავალფეროვან წიაღში ეკონომიკური სიბრძნის ელვარე მარგალიტების მოძებნა — გამომზეურება და საერთაშორისო მეცნიერულ ასპარეზზე წარმოდგენა. ჯერ კიდევ საფორტორო დისერტაციაში, „ფინანსური რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში“, გვიჩვენა, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ფინანსების, როგორც ქართული ეკონომიკური აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების მეცნიერული ცოდნის დონე საკმაოდ მაღალი იყო. ქართული ეკონომიკური აზრის განვითარების პრობლემისადმი მიძღვნილი აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის ნაშრომებიდან ასევე აღსანიშნავია „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“. ამ შრომაში დასაბუთებულია, რომ სულხან-საბა ორბელიანი იმ დროისათვის პროგრესული შეხედულებებით 70 წლით წინ უსწრებს ფიზიოკრატიული მიმართულების მამამთავარს — ფრანსუა კენესს. მისი კვლევის საფუძველზე პოლიტიკური ეკონომიის ენციკლოპედიის რედაქციამ ენციკლოპედიაში შეიტანა სულხან-საბა ორბელიანი, როგორც ფიზიოკრატიული სკოლის წინამორბედი, თავისი ეკონომიკური შეხედულებებით. ეროვნული ეკონომიკური აზროვნების სიდიადისა და უკვდავების დიდი ჰომინა ბატონი ვასილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ნამდვილი „მარგალიტი“ — „შოთა რუსთაველის ეკონომიკური იდეები“.

დიდი ამაგი დასდო ბატონმა ვასილმა ქართველი ხალხის უკვდავი შვილის, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური იდეების შესწავლა-გამომზეურებას. მოკრძალებული პატივისცემით და სიყვარულითაა გამსჭვალული ასევე მისი შრომები, რომლებიც ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის ეკონომიკურ-ფინანსური შეხედულებების შესწავლას.

აკადემიკოსმა ვასილ ჩანტლაძემ საკმაოდ დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე ეკონომიკის ტერმინოლოგიის დამუშავების საზით. მიიღო მონაწილეობა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ეკონომიკის ტერმინოლოგიის შედგენაში, შეადგინა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ფინანსურ-საკრედიტო ტერმინოლოგია და აგრეთვე რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული სტატისტიკური ტერმინოლოგია. ბატონმა ვასილმა დიდი ცოდნა და ენერჯია მოახმარა ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობის სტუდენტებისათვის ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნას, რომლებიც ნათარგმნ და ქართულ ენაზე დაწერილ სხვა სახელმძღვანელოებზე გაცილებით გამძლე და სტაბილური აღმოჩნდა. ამ სახელმძღვანელოთა რიგს მიეკუთვნება: „კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსები“, „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“, „ფინანსები და კრედიტი“, „ფულის, კრედიტის და ფინანსების ისტორია“ და სხვ.

ვასილ ჩანტლაძე 70 წლის მანძილზე კითხულობდა ლექციებს უმაღლეს სასწავლებლებში. ფართო და ყოვლისმომცველი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო და თვალსაწიერი. მან სამშობლოს აღუზარდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნით შეიარაღებული მრავალი სპეციალისტი.

ვასილ ჩანტლაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი. მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები. მიეჩნება საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით და სხვ.

ბოლო წლებში თავს დატეხილი ტრაგიკული განცდების გამო უსაშველო და უთქმელი სვედით გულამოვსებული მეცნიერი, მასწავლებელი და აღმზრდელი, 1995 წლის იანვარში განეშორა ამქვეყნიურ ცხოვრებას.

## ჯოჯოხეთი

**პრემიერ-მინისტრმა თავშეკავებისკენ მოუწოდა ასალტაზრდებს, რომლებიც აქციებით გამოხატავენ პროტესტს წამების კადრების გაგრძელებასთან დაკავშირებით.** ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, საქართველო დღეს არის უფრო ძლიერი სახელმწიფო, ვიდრე იყო 3 წლის წინათ და ის არ დაუშვებს არავითარ პროვოკაციებს, თუმცა აქვე საზოგადოების წევრებს მაქსიმალური თავშეკავებისკენ მოუწოდებს.

„მინდა კიდევ ერთხელ შევხსნო იმ აქციებს, რომლებიც გამოიწვია შემზარავი ფაქტების, შემზარავი ვიდეოების გაგრძელებამ. ჩვენთვის ყველასთვის, ნებისმიერი მოქალაქისთვის აღმაშფოთებელია ამ კადრების ხილვა. მასსოვს ჩემი პირველი რეაქცია 2 წლის წინათ, როდესაც ეს კადრები ვნახე, მაგრამ მინდა საზოგადოებას მივმართო, გთხოვთ, მაქსიმალურად შევინარჩუნოთ მშვიდობა. ჩვენი ქვეყნის ინტერესებში არის სტაბილურობის უზრუნველყოფა ქვეყანაში. გთხოვთ, ყველანი იმოციბო შევიკავოთ და ყველას მოგიწოდებთ სიმშვიდისკენ“, — განაცხადა ირაკლი ლარიბაშვილმა.

## წამება სააკაშვილის პორტრეტის წინ

„24 საათის განმავლობაში გოფაბა ისმოდა გლდანის სინაში“

„ამასთან, რვა სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გვაქვს გამოძიება და უახლოეს მომავალში მოგაწვდით დამატებით ინფორმაციას“, — განაცხადა გიორგი მღებრივიშვილმა.



როგორც ცნობილია, ორი კვირისა, რაც სექსუალური ძალადობის ამსახველი შემზარავი კადრები ვრცელდება. ოპოზიცია თვლის, რომ კადრებს ხელისუფლება მიზანმიმართულად ავრცელებს, ბრალდებას უარყოფს ხელისუფლება და აცხადებს, რომ მისთვის კატეგორიულად მიუღებელია სექსუალური ძალადობის ამსახველი კადრების გავრცელება.

დირიჟებლმა „თვითნებურად დატოვა“ აბერდინის პოლიგონი მერილენდის შტატში და გაეშურა უმართავ ფრენაში. მისი დატოვების დროს პენსილვანიის შტატში არავინ დაზარალებულა, მაგრამ მან გზაში დააზიანა ელექტროგადამცემის რამდენიმე ხაზი, რის გამოც ათობით ათასი მეურნეობა უშუქოდ დარჩა.

### ნატოს სექსუალური მოპოვება - თაქი პარტიონი რუსეთთან ურთიერთობის ზედაპირზე

მიუხედავად საპირიპირო პოზიციებისა, კონფონტაციის თაქი უნდა ავარიდოთ, მოუწოდებ ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ ალექსანდრ ვერშოვუმ. აუცილებელია მივალწიოთ „გამჭვირვალობასა და წინასწარმხედველობას“ ურთიერთობის განვითარებაში.

### სკოლები აშკარად სავაჭრო ცენტრში იწვევს ნაფარს, არის რამდენიმე დაზარალებული

სკოლების სმა ისმოდა დიდ სავაჭრო ცენტრში. ადგილობრივი გამოცემები იტყობინებენ სამი დაჭრილის შესახებ, რომლებსაც ცეცხლი გაუხსნა ადამიანმა ნიღაბში. ერთი დაზარალებული პოსტში გადამიყვანეს კრიტიკულ მდგომარეობაში. დამნაშავე მიიმალა.

### ახს-ის მოხიბვა გაიხსნა, თუ როგორ არ გაუშვა ბირთვული რაკეტები სსრ კავშირისა და ჩინეთისა 1962 წელს

ბირთვული ომის თავიდან აცილება მოხდა ამერიკის სამხედრო საზღვრო ძალების კაპიტნის უილიამ ბასეტის წყალობით, რომელიც ამ ისტორიას საიდუმლოდ ინახავდა წელიწადეული წლის განმავლობაში. 1962 წლის ოქტომბერში ბრძანება – გაუშვან რაკეტები – მოვიდა ამერიკის ბაზაზე იაპონიის ოკინავაში. მიზნებს შორის იყო სამხედრო ობიექტები ვლადივოსტოკში.

## დედაშენა

# „ანანო და გიორგი“ გახსნა და დააპატივებულ ხეებს ჭრიან

მთავრობის ფარგლებში, სოფელ ოქროვანის მიმდებარე ტერიტორიაზე 10 ათასამდე გამხმარი შავი ფიჭვის ჭრის პროცესი მიმდინარეობს. ადგილზე წინასწარ მონიშნული, დაავადებული და გამხმარი ხეების ჭრის პროცესს ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის კონტრაქტორი კომპანია შპს „ანანო და გიორგი“ ასრულებს.

უკვე მოიჭრა რამდენიმე ათეული ძირი გამხმარი ხე და მიმდინარეობს მოჭრილი საშენ ხეების ტერიტორიიდან გატანის პროცესი. ჩატარებული სამუშაოები თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსმა ბიძინა გიორგობიანი დაათვალიერა.

მისი თქმით, დაავადებული და გამხმარი შავი ფიჭვის ჭრის

პროცესი წელს ზაფხულში დაიწყო და კუს ტბასთან 2000 ხე მოიჭრა. კუს ტბაზე ასალი ნერგების დარგვის პროცესი შემოდგომაზე დაიწყო. მისივე თქმით, მთავრობის ფერდობზე 10 ათასი ხის მოჭრის შემდეგ ასევე ასალი ნერგები დარგვება. გიორგობიანის ინფორმაციით, შესაძლოა ეს პროცესი წელს შემოდგომაზე ან მომავალი წლის გაზაფხულზე დაიწყო.

მისივე თქმით, 10 ათასი გამხმარი მოსაჭრელი ხის გარდა, კიდევ 3-4-ჯერ მეტი ხე არის მოსაჭრელი, ისინი დაავადების გამავრცელებლები არიან და ამდენად, ხეების მოჭრისა და ტყე-დან მათი გამოტანის პროცესი მომავალ წელსაც გაგრძელდება. მოჭრილი საშენ მასალა კი სოციალურად დაუცველებს გადაეცემა.



საბარტოქელოში გრძელდება გახმაურებული სასამართლო პროცესი ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის საქმესთან დაკავშირებით. 28 ოქტომბერს ელოდებოდნენ, რომ მოსამართლე გამოიტანდა საბოლოო ვერდიქტს ტელეკომპანიის ყოფილი მონილის ქიბარ ხალვაშის სარჩელზე. მაგრამ ეს არ მოხდა. მიუხედავად ამისა, დღის განმავლობაში სიტუაციას „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით დაუღვლედად უკეთებდნენ კომენტარებს მთავრობის წევრები, დეპუტატები და საზოგადოების სხვადასხვა ფენათა წარმომადგენლები.

მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ არც ამ დღეს და არც უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიცია და კიდევ ერთხელ გადადო ვერდიქტის გამოტანა ტელეკომპანიის აქციის ნაწილის დაბრუნების შესახებ ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშისათვის. დაცვა გამოვიდა შუამდგომლობით მოსამართლის შეცვლის შესახებ, მაგრამ მოსამართლემ ეს არ დააკმაყოფილა.

სხდომის დღის წესრიგში იყო მხოლოდ ერთი მონაწილე – ექსპერტ შოთა ივანაშვილის დაკითხვა. მისი დასკვნით, „რუსთავი-2“-ის აქციების ღირებულება 2005-2006 წლებში დაახლოებით 7 მილიონ ლარს შეადგენდა. ამას ადასტურებს ტელეკომპანიის ყოფილი მმართველის ქიბარ ხალვაშის განცხადება იმის შესახებ, რომ 2006 წელს იგი, მიხეილ სააკაშვილის დაჟინებული თხოვნის გამო, აიძულეს თითქმის უფასოდ – 300 ათას ლარად – დაეთმო თავისი წილი კომპანიაში. მოსამართლე ურთმელიძემ საჭიროდ არ მიიჩნია, ყურად ელო „რუსთავი-2“-ის ადვოკატის მტკიცებანი იმის შესახებ, რომ ექსპერტმა განსაზღვრა ღირებულება მხოლოდ ორი დოკუმენტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგინა ხალვაშის მხარემ. ამ დოკუმენტების სიმართლე მოსამართლემ არ შეამოწმა.

მთელი დღე ელოდებოდნენ, რომ ერთი ექსპერტის დაკითხვა, შემდეგ კი მხარეების კამათი არ დაიკავებდა ბევრ დროს და მოსამართლე ურთმელიძე ნავიდოდა საბოლოო ვერდიქტის გამოსატანად.

სანამ დარბაზში სასამართლოს სხდომაზე დამსწრეები მთელი დღის განმავლობაში ამოვად ელოდებოდნენ განაჩენის გამოტანას, მის გარეთ პოლიტიკოსები კომენტარს უკეთებდნენ და განიხილავდნენ სიტუაციას „რუსთავი-2“-ის გარშემო. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის სხდომის დანევების წინ მოუწოდა ყველა მხარეს იყვნენ კორექტურები სასამართლოს მიმართ. ამასთან ერთად ლარიბაშვილმა უპასუხა ოპონენტებსაც. მისი სიტყვებით, „ქართულ ოცნებას“ მართვის მესამე წელს არ სჭირდება ხელში ჩაიგდოს ოპოზიციური ტელევიზია: „ჩვენი მთავრობის დამსახურება არის სწორედ ის, რომ ჩვენი რეფორმების წყალობით ნებისმიერ ადამიანს ათი დღის განმავლობაში შეუძლია ჩამოყალიბდეს ნებისმიერი ტელეარხი. ასე რომ, დაე ნუ შიშობენ ნურც „რუსთავი-2“, ნურც ნაციონალური მოძრაობა, და ნურც სხვები საერთოდ ქვეყნის შიგნით, როგორც მის ფარგლებს გარეთ, რომ ჩვენ რომელიმე ტელეარხს შევუქმნით რაიმე ბარიერებს. ანდა რაიმე ფორმით ზიანს მივაყენებთ მედიასაშუალებებს“.

# „რუსთავი-2“ იყო, არის და იქნება?

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე იზიარებს პრემიერ-მინისტრ ლარიბაშვილის აზრს იმის შესახებ, რომ ხელისუფლება არაა დაინტერესებული კონტროლის დანახვაში ოპოზიციურ ტელეარხზე. თუმცა მომხდარს ძაბირაძე სხვაგვარად განმარტავს.



„სასამართლო პროცესის პოლიტიზაცია ორივე მხარეს აძლევს ხელს – როგორც „ქართულ ოცნებას“, ისე ნაციონალურ მოძრაობას. ორივე პოლიტიკური ძალა პარტიკულარული ინტერესების წინ იყენებს სასამართლო პროცესს ცნობილი მიზნებისათვის. ნაციონალური მოძრაობა ამომწებებს, შექმნის თუ არა შეკრბოს მომხრეები. „ქართული ოცნება“, თავის მხრივ, შეგვანსნებს, რომ ცუდი იქნება ხელისუფლებაში მათი მონაწილეობის დაბრუნება. მაგრამ არც ერთი ძალა არ ითვალისწინებს იმას, რომ მოსახლეობას სრულიად სხვა პრობლემები აქვს, და რაიმე ძალის გულისთვის ხალხი ქუჩაში არ გამოვა, დაძაბულობის ესკალაცია არ იქნება“, – მიაჩნია ვახტანგ ძაბირაძეს.

ხელისუფლების რიტორიკას „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით არ იწონებენ სამართალდამცველები. Transparency International-ის საქართველოს ფილიალის იურისტი გია გვილაგა პირველივე დღიდან თვალყურს ადევნებს სასამართლო განამანას. გარდა „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ მმართველი კოალიციის წარმომადგენელთა გამონათქვამების მკაცრი კრიტიკისა, სამართალდამცველს აქვს შენიშვნები სასამართლო სისტემისადმიც.

„თავიდანვე ჩვენ მეტად უცნაურად მოგვეჩვენა, ის ფაქტი, რომ მოსამართლემ ყადაღა დაადო ტელეკომპანიის მიმდინარე ანგარიშებს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა „რუსთავი-2“-ის არც ერთი შუამდგომლობა, მისი არგუმენტები კი ჩვენ არ მოგვეჩვენა მეტად დამაჯერებლად. როდესაც საკითხი შეეხება პოპულარულ ტელეარხს, კარგი იქნება, რომ სასამართლომ გაეზარდა პასუხისმგებლობა მთელ სასამართლო სისტემაზე, და ეს საქმე განხილული კოლეგიის სამი მოსამართლის შემადგენლობით.“

სხვათა შორის, გია გვილაგა ჩქარობს აღნიშნოს, რომ მისი ორგანიზაცია საბოლოოდ შეაფასებს მომხდარს ვერდიქტის გამოტანის შემდეგ. ეს შეიძლება მოხდეს სვალად.

როგორც არ უნდა იყოს სასამართლოს გადამწყვეტილება, ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ურჩევს – პატივი სცენ ინსტიტუტს. იმის სურვილით, დაარწმუნოს საზოგადოება, რომ ტელეარხის არსებობას ხელისუფლების მხრიდან არაფერი ეშუქრება, მან განაცხადა: „რუსთავი-2“ იყო, არის და იქნება“.

ტექსტი შეიცავს ტოპონიმებს და ტერმინოლოგიას, რომელსაც იყენებენ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში.



საქმე №1/117-2015

## საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს სახელით საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გაგრძელების შესახებ

ქ. თბილისი

27 ოქტომბერი 2015 წელი

არბიტრ: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „ნოვა კრედიტ“  
საარბიტრაჟო მოპასუხე: ზვიად მოდებაძე

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გაგრძელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

### გ ა მ თ ა რ კ ე ბ ა

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს მიერ 2015 წლის 30 ივლისს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტ“-ის სარჩელი მოპასუხე ზვიად მოდებაძის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით: 2014 წლის 19 მარტს შპს „ნოვა კრედიტს“ და ზვიად მოდებაძეს შორის დაიდო №031412926 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმადც შპს „ნოვა კრედიტს“ შესესხებულზე გასცა 1800 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 84 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 1 თვე.

სესხის გადახდა უზრუნველყოფილია მოპასუხის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონებით. გირავნობის საგანს წარმოადგენს მექანიკური სტრანსპორტო საშუალება: მარკა, მოდელი: მიცუბიში დელიკა; ტრანსპორტის გამოშვების წელი: 2000; ტიპი: ვენი; ფერი: თეთრი; ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო (შპსის) №PD6W0601449; ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა: AL1923830; სარეგისტრაციო ნომერი: FVF710.

ხელშეკრულების თანახმად, განისაზღვრა

პირგასამტეხლოს ოდენობა – ვადაგადაცილებული თანხის 3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან მოქალაქე ძირითადი თანხის ვადაგადაცილების შემთხვევაში ძირითადი თანხის და მიუღებელი სარგებლის ჯამის 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2014 წლის 19 აპრილს სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება №031412926-ში შევიდა ცვლილება. კერძოდ: კრედიტის ვადა გაიზარდა 1 თვით.

შესესხებულმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეზე გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია.

მოსარჩელე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ვადა დაედო ზვიად მოდებაძის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ზვიად მოდებაძეს ოთხჯერ გაეგზავნა როგორც ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე, ასევე მისი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორექტირების გარეშე არ ჩაბარდა მისამართზე არ ყოფნის (არ ცხოვრების) გამო.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ზვიად მოდებაძეს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გაგრძელების გზით. ამ დასკვნის მართე-

ბულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ზვიად მოდებაძე ხელშეკრულებაში მითითებულ მისი რეგისტრაციის ადგილის მისამართზე არ ცხოვრობს, მის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების მისამართზე არ იმყოფება. ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრინა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გაგრძელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივად გაგრძელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებით

### დ ა ა დ გ ი ნ ა

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გაგრძელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ზვიად მოდებაძეს (პირადი №18001014720) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს წარმოებაში შპს „ნოვა კრედიტ“-ის სარჩელი სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

2. ზვიად მოდებაძეს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაბამისი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს სამოქალაქო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდ-

მივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ს დებულებიდან.

3. თქვენს წერილობით შესაბამის (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ეყარება თქვენი შესაბამისი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან საშუალო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურებაც შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

4. მოპასუხე ზვიად მოდებაძეს ეცნობოს, რომ 2015 წლის 30 ნოემბერს 13:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტ“-ის სარჩელზე, სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით ზვიად მოდებაძის მიმართ.

5. ზვიად მოდებაძეს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს მასზე დადგენილების მიხედვით. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადგმას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზე ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გაგრძელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრ: ქეთევან ტაბატაძე

ვარაუდი

ცეტივივილი ისევ ლიბანში ითავაზებს

ძმართვილი კალათბურთელი ნიკოლოზ ცეტივივილი კარიერას საგარეო დონაზე „ჩემპიონში“ გააგრძელებს, სადაც უკვე ჩატარებული აქვს რამდენიმე წარმატებული სეზონი.



ცეტივივილი ლიბანის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ჩამოყალიბდა.

შეგახსენებთ, რომ მცირე ხნის წინათ იგი ნბა-ს წევრ „ლოს ანჯელეს კლიპერსში“ დამკვიდრებას ცდილობდა, შემდეგ კი ჩინურ „ფუჯიანში“ ჩარიცხვამდე სულ ცოტა დააკლდა.

34 წლის ქართველმა ფორვარდმა აზიურ კლუბში რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩაატარა და წესით გარანტირებული კონტრაქტიც ეკუთვნოდა, თუმცა, „ფუჯიანმა“ მასთან თანამშრომლობა არ ისურვა, რის გასაჩივრებასაც ნიკოს მხარე ფიბა-ში აპირებს.

ამჟამად ცეტივივილი მოლაპარაკებას ისევ „ჩემპიონთან“ აწარმოებს, რომლის რი-

გეშიც ლიბანის ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ჩამოყალიბდა.

ვიტალი ჯაფარიძე

ლეგიონერი

ფაჩულიამ სეზონი ორგანიზაციით გახსნა



სამართვილო კალათბურთელი ფაჩულიამ სეზონს „დალასის“ ორგანიზაციით გახსნა. მისი „დალასი“ სტუმრად „ფინიქსს“ ეწვია და ანგარიშით 111:95 დაამარცხა.

ზაზა ფაჩულიამ ამერიკის ნაციონალური ასოციაციის ახალი სეზონის პირველ მატჩში ორმაგი დუბლი მიითვალა. მისი „დალასი“ სტუმრად „ფინიქსს“ ეწვია და ანგარიშით 111:95 დაამარცხა.

ფაჩულიამ მხოლოდ ორჯერ დაჯარიმდა, 25 წუთის განმავლობაში აკურატულად თამაშობდა და ჯამში საკუთარი გუნდის რიგებში საუკეთესო გახლდათ. „მავერიქსმა“ წინასასეზონო წარუმატებელი თამაშის შემდეგ (7 წაგება) მოგების გემო გაიხსენა.

ზაზა ფაჩულია

შესანიშნავი შვიდეული

საპრემიერო კანდიდატებს ნახილი გამოაკლდა

ტრინიდადის და ტობაგოს ეროვნული ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი დიდი ნახილი ფიფას საპრემიერო არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

მსოფლიო ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ რიგგარეშე არჩევნებში მონაწილე საპრემიერო კანდიდატთა სია საბოლოოდ დაამტკიცა.

2016 წლის 28 თებერვალს ფიფას პრეზიდენტობისთვის შემდეგი შვიდეული იბრძოლებს: უეფა-ს პრეზიდენტი მიშელ

პლატინი, ფიფა-ს გენერალური მდივნის ექს-თანაშემწე ჟერომ შამპანი, იორდანის პრინცი ალი ბინ ალ-ჰუსეინი, აზიის საფეხბურთო კონფედერაციის თავმჯდომარე სალმან ალ-ხალიფა, სამხრეთაფრიკელი ბიზნესმენი ტოკიო სექსვალე, ლიბერიის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტი მუსა ბილიტი და უეფა-ს გენერალური მდივანი ჯანი ინფანტინო.

მანუჩარ ბიორბაძე

ცოტაც და...

„ბარსელონა“ ზამთარი თაყვანსმის გაკლიაებას შეეძლება



კატალონიის „ბარსელონა“ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში თავდასხმის გაძლიერებას შეეცდება.

„მუნდო დეპორტივო“-ს ინფორმაციით, „ბლაუგრანა“ ამ ფეხბურთელებიდან ერთ-ერთის გადაბირებას შეეცდება: ნოლიტო, რობინ ვან პერსი, კარლოს ველა, ალვარო ნეგრედო, დირკ კიუიტი, ანვარ ელ გაზი, ანტონიო სანაბრია, დომენიკო ბერარდი და პიერ-ემერიკ აუბამეიანგი.

ესპანური გრანდი ფიფასგან სასჯელს იხდის და ტრანსფერის განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ 2016 წლიდან შეეძლება.

გიორგი შოთაძე

ვითომ დარჩება?..

„ბაიერნი“ გვარდიოლას გადაწყვეტილების მოლოდინშია

მსაბინძოვებელი სპეციალისტმა პეპ გვარდიოლამ, შესაძლოა, მიუნხენის „ბაიერნთან“ კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივოს.

გვარდიოლას „რეკორდმა“-სტერტანს კონტრაქტი იმდენად ნარე სეზონის ბოლოს ეწურება. ფილიპ ლამის განცხადებით, გუნდს პეპის ხელში ყველაფერი გამოსდის და ფეხბურთელებს მისი დარჩენა სურთ.

გვარდიოლას სიტუაციას აკვირდება „მანჩესტერ სიტი“, რომელსაც კატალონიელის „ექტიჰად სთედიუმზე“ მიყვანა სურს.

პეპის განვრთნილმა „ბაიერ-

ნმა“ 124 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 96 მოიგო, 10 ფრედ დაასრულა, ხოლო 18 შეეცდნენ გულშემატკივრები გაანბილა.

გუნდმა 335 გოლი გაიტანა, საპირისპიროდ კი 103 მიიღო.

კოზა კოზახიძე



კონტურები

ახია პრეზენტა: 2019 წლის მსოფლიო თასის ღობო და თარიღი

გამომდინარე 2019 წელს იაპონიაში გასამართი რაგბის მსოფლიო თასის ოფიციალური ღობო და თარიღები - იგი 20 სექტემბერს ტოკიოში დაიწყება და 2 ნოემბერს იოკოჰამაში დასრულდება.



ჩისგან ერთ დღეს „სასწაული ყინულზე“-ს მსგავს პოლიციურ ფილმს გადაკეთებენ. ეს მსოფლიო თასი ყველაზე დაძაბული იყო; ჩემის აზრით, იაპონიის თამაშის შემხედვარე მეორე დონის სხვა გუნდებსაც მიეცათ გული და ამიტომ იყო, რომ წელს მსოფლიო თასის ისტორიაში ყველაზე პატარა ანგარიშთა სხვაობები გვექონდა.

მოსახსნელი რეპორტები

„დარწმუნებული ვარ, 2019 წლის მსოფლიო თასი გარკვეულ სფეროებში რეკორდებს მოხსნის

და, იმავდროულად, ბევრს ახალს მოგვიტანს. ეს სრულიად განსხვავებული ტურნირი იქნება.“

მომავალი მსოფლიო თასის დირექტორმა ალან გილპინმა გვითხრა, რომ გვეგმის მიხედვით იაპონიის 12 მასპინძელ სტადიონზე მინიმუმ ორ-ორი თამაშის გამართვა გათვალისწინებულია.

სამუშაო ბევრი გვაქვს, განაცხადა ალან გილპინმა. ჩვენს იაპონელ პარტნიორებთან ერთად მოგვიწევს წილისყრაზე, მატჩებს განრიგზე და გუნდების მასპინძლობასთან დაკავშირებულ ლოჯისტიკაზე მუშაობა.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა, ამიტომ ვფიქრობ, შემდეგ ეტაპზე გადასვლას 2016 წლის მეორე ნახევრამდე ვერ მოვახერხებთ.

აზიური მსოფლიო თასის მასპინძლები დიდ იმედებს ამყარებენ იაპონიის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ედი ჯონსის მუშაობაზე, რომელმაც 2015 წლის მსოფლიო თასზე გუნდს სამი გამარჯვება მოუტანა, თუმცა, პლეი-ოფში ვერ გაიყვანა.

„1995 წლის მსოფლიო თასში სამხრეთ აფრიკის გამარჯვებას მიეძღვნა შესანიშნავი ფილმი „ინვიტუსი“, ბრძანა 2019 წლის მსოფლიო თასის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ აკირა შიმაძემ. „იმედია, 2019 წელს ისე გამოვიჩვენოთ თავს, რომ იაპონიის ნაკრებს „ინვიტუსი“-ს მიუძღვინან.“

ზაზა ფაჩულია

ინტერნეტიდან

შვილი და კარიერა - თამარა გოროს ფიქრები

ბედის უკუღმართობით რუსეთში ბურთის მგორებელი არგენტინელი მცველის ეზეკიელ გარაის ცნობილი მეუღლე, ესპანელი მოდელი თამარა გორო სულ მალე დედა გახდება და ამ ამბავს გარაის ოჯახი, რასაკვირველია, განსაკუთრებული მოლოდინითა და დიდი იმედებით ხედავს.

თამარა გორო ამბობს, რომ მისი რჩეული ყოველთვის მზრუნველი ადამიანი იყო და მისთვის ცოლის დაფასება ცხოვრების წესად იყო ქცეული, მაგრამ თანამეცხედრის ფეხმძიობამ ეზეკიელი საერთოდ გადარია და თამარამ რაც უნდა მიინდომოს, ქმარი ნებისმიერ სურვილს უსწრაფესად უსრულებს ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ პატარა გარაი ჰყავს გასაჩენი, თამარა თავის სამოდელო კარიერაზეც ფიქრობს და ამბობს, რომ ბავშვის გაჩენის შემდეგ მალევე აპირებს ფორმაში ჩადგომას, რადგან კიდევ დიდხანს სურს პოდიუმის ფიგურანტზე დგომა და საამისოდ ყველაფერს გააკეთებს, რაც კი ხელენიფება.

როსტომ რაჭველიშვილი



© წერილები რედაქციას

# რასაც ლათიანს, იასკე პოიკი

**გზაში „ახალი თაობიდან“ შევიტყვევ, რომ პრეზიდენტის სიტყვიერი მითითებით მოუთხოვია ჟურნალ-გაზეთების გამოცემა-გაგრძელების აკრძალვა სახელმწიფო დაქვემდებარების ორგანიზაციებში. მიზეზი: ბიუჯეტის სახსრების დაზოგვა. ეს მზაკვერული ჩანაფიქრია მარგველაშვილისა და მისი ენ. მრჩეველების მხრიდან.** მათი აზრით, ყველა უნდა ვიკითხოთ და ვისვლამდე ვინაობა ინტერნეტის ფეისბუქ გვერდებით, რომლებიც გულმოდგინედ გვაცნობს, თუ რამდენი ბიკინი, ბიუსტჰალტერი, ბოტასი ინახება ქალბატონების წკრილაშვილის, ყორყორიანის, ასათიანის და მათნაირი გოგო-ბიჭების გარდერობებში, ამასთან, სადა და როდის სდება სექსუორიერთობა. ამას მიგვიბრუნებენ პრეზიდენტი, რომელმაც გინესის მსოფლიო რეკორდი დაამყარა თანაგუნდელთა და ამომრჩეველთა ღალატში. პრეზიდენტი, რომელიც ასე-ლო წარსულში წინდების ქსოვით და ფინია ძაღლების მოვლით იყო მართული. მარგველაშვილს დაკავებული აქვს 900-

მილიონიანი უზარმაზარი შენობა, რომელსაც, მიუხედავად საზოგადოების მოთხოვნისა, ცოცხალი თავით არ ტოვებს. მაშინ, როდესაც ჩვენი დიდი მეფის ერეკლე II-ის შთამომავლების ორბელიანების სამეფო სასახლეს ადგილზე (იქ სადაც ცოცხალი წინათ აშშ საელჩო იყო) აშენდა 29-მილიონიანი უნიკალური საპრეზიდენტო სასახლე (ბაქოში აშენდა: რატომ ტირიხარო და გამდის და ვტირივარო). აფერუმ, ბატონო პრეზიდენტო! თქვენ უნდა თქვათ: „კაცი ვარ და ქუდი მხურავსო!“ კიდევ ერთი შენიშვნა გულისტვილით: ქვეყნის მმართველ პარტიას რატომ არ უნდა ჰქონდეს ყველასთვის ხელმისაწვდომი გაზეთი, სადაც ქვეყნის მოქირახვლოვი საზოგადოება საკუთარ შეხედულებას-მოსაზრებას გამოთქვამს? მაღლობას ვუხდი გაზეთ „საქართველო“ რესპუბლიკის“ რედაქციას, რომელთანაც შესაძლებელია თანამშრომლობა და თავისუფალი აზრის გამოხატვა. დანამდვილებით გეტყვი, რომ ქვეყ-

ნის პროვინციებში შეუძლებელია გავცნო პრესას, სადაც პირუთენელად შუქდება ყველა საჭირობოროტო საკითხი. მთლიანად ქვეყანას განაგებს ტელევიზია, როგორც ცრუ „რუსთავი-2“-ია და თითქმის ყველა ტელეარხი 24 საათის განმავლობაში ანარმობენ ხალხის ტვიწის გამორეცხვას ეროვნული, ქართული, მართლმადიდებლურ-ქრისტიანული შეხედულებების წინააღმდეგ. ხალხი ძალიან დაილაღა ერთი და იგივე პოლიტიკოსების გაყინული სახეების ცქერით, რომლებიც ეკრანებიდან, პრესით უხვად აფრქვევენ „სიბრძნეს“, დეპუტატ-პოლიტიკოსებს, რომელთაც თავიანთი კეთილდღეობის გარდა არაფერი ანაღვლებს. ისე ფიქრობენ ქვეყნის ბედნიერებაზე, როგორც მგელი ცხვრის მოვლა-პატრონობაზე. დაბეჯითებით მოგინოდებთ, შეისმინეთ ხალხის თხოვნა, გვერდზე დაუდეთ ქრონოლოგიური ჟურნალ-გაზეთებს, ხელი შეუწყეთ, რათა ხელმისაწვდომი გახდეს ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის. რუსთაველი ბრძანებს: რასაც დათესავ, იმას მოიმიკო. დიდი ისააკ ნიტოშის კი გვასწავლის: ყველა ქმედება ტოლსა და სანაწარმადეგო უქუქმედებას იწვევსო.

# გახსენება უუპური აბაღლია



ორმოცი დღეა, მარადისობის ბინადარია ალაღ-მართალი ქართველი ვაჟკაცი უუპური აბაღალია. ამ სულთ ხორცამდე კოლხმა კაცმა შრომისმოყვარეობით, ოჯახის ერთგულებითა და პატიოსნებით პირადი იშვიათი მაგალითი მისცა მოყვარეთ, კეთილის მსურველთ. ძნელია ნახო კაცი, ვისაც დიდ-პატარა ასე მისტიროდეს ამქვეყნიდან მარადიულ სასუფეველში გაბრძანების ფაშს. ორმოცი დღის წინათ მისი და ჩვენი სოფელი ქარიატა, ამისი რეალური მოწმე გახდა... წესიერებით, სისპეტაკითა და გუთნისდევობით გამოჩნეული ეს ადამიანი ძალიან დაგვაკლდა ყველას, ჩვენ — მის სისხლხორცთ. იმქვეყნად ბევრი, სასიკეთო საკეთებელ საქმეთა გეგმა, ჩანაფიქრი და ჩვენი გულისტკივილი გაჰყვა... განისვენოს მისმა ნათელმა სულმა მართალთა შორის. „საუკუნოდ იყავნ სხენება იმისი, სხენება და კურთხევა იმისი“, — ამინ!

# პატივის ვსაემო რა წარსულს, ახით ჩვენს ვაღაღაღებით

კომუნისტური წყობილების მოთაყვანე არ გახლავართ, მაგრამ სიმართლე ისეთი რამ არის, წესიერმა ადამიანმა არ უნდა უღალატოს. პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ყველას თავისი კუთვნილი უნდა მიეზღოს. ჩვენს დედაქალაქში ჯერ კიდევ მრავლად კომუნისტური წყობილების წარმომადგენლები სახელობის ქუჩები, ზოგჯერ კი არაფრისმთქმელი უაზრო სახელწოდებები. მიუკიბ-მოუკიბავად მოგახსენებთ შემდეგს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მუჟაფანაძე თითქმის ათეული წელი

იყო რესპუბლიკის პირველი პირი. ის პერიოდი ჩვენი ქვეყნის ყველაზე ადამრწემელობის წლები იყო. გავისხენოთ რამდენი რამ გაკეთდა დედაქალაქში და რესპუბლიკაში — მეტროპოლიტენი (მეოთხე ვიყავით კავშირში), სპორტის უნიკალური სასახლე, ვარაზისხევის და ვაკე-საბურთალოს მაგისტრალეები, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, საავადმყოფოები, საბავშვო ბაღები, სკოლები და მრავალი სხვა. ყველა ამ მართალად გრანდიოზულ აღშენებლობაში ვასილ მუჟაფანაძეს გვერდით ედგა სულით ხორცამდე ნატურიტი პიროვნება გიორგი გეგეშიძე. პუტუი ისინი ღირსი არ არიან, მათი სახელობის ქუჩები

იყოს დედაქალაქში და იმ კუთხეში, საიდანაც წარმოშობით არიან. არაფერი დაშვედებოდა, რომ ამ ქუჩებზე იყოს ამ სულ განათლებული ადამიანების მემორიალური დაფები ან სულაც ბიუსტები. იმ დროს მუშაობდა ბევრი ზნეობრივი თვისებებით შემოვლილი ადამიანი (პატრიოტები, პატიოსნები), რომლებიც ხსოვნაში კეთილად შემოგვრჩნენ. ნეტავ დღევანდელი მოღვაწეები ოდნავ ჰგავდნენ მათ! პატივს ვცემთ რა წარსულს, ამით ჩვენც ვაღაღაღებით.

**წელი დომობია-ბუკია, რომე გურაღია, ტარიელ გურაღია, არგელედ ზარანდია, ვაშა ზარაღია, მოგელი აბაღალია, იმუტა კახანი, აბსალომ აბაღალია, იმზარ კონჯარია, გურამ კონჯარია, ზურაბ აბაღალია, მილენტი შოტა, ტარიელ ჩიქოვანი, გორა კორტაბა, რამაზ შვილია, დამან შვილია, გილა შვილია, იური შვილია, დავით შვილია, ზაირა შვილია, სოსო შვილია, ზურაბ ბუკია, გორა ბუკია, რუზან ბუკია, ვახტანგ ტყეშელაშვილი, ნუნუ შვილია, ნუნუ ტყეშელაშვილი, ვალერი ტყეშელაშვილი, ნუნუ ტყეშელაშვილი, გორამი შვილია, თამაზ ალექსანდრი, გორა კუჩავა, ზურაბ აფხაზაზა.**

**განცხადება**  
ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას ცამეტი წლის სამ დეკემბერს გარდაცვლილი ქალბატონის მარია ცელიკოვას (პირადი №61007007376) მიმართ. გთხოვთ დაინტერესებულ პირებს მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა.  
ნოტარიუსი **ვალდებ ნინიძე**

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი სამომხარის უცნაუბრებს პროფესორ მინიელ ჯიბუტს ძამის**  
**ჭიჭიკო ჯიბუტის**  
გარდაცვალების გამო.

**რეკლამა**  
**293-37-87**

© გაითვალისწინეთ!

# აქტიური პროსესები ნოვობერში

**ნოვობერში** გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია 3, 6-8, 11-13, 16-23, 26 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონების და გრიგალების ჩამოყალიბება ყველა სახეობის აფარიულობის ზრდა, დაბაბულობა სოციუმში და სემოპროტეობის გაძლიერება.  
**3 — მთვარის უპირატესი მართალი.** მოსალოდნელია ატმოსფერული წნევის და ტემპერატურის ცვლილება. ახლა ყოვანდებ ყველა პროცესი ორგანიზმში, სუსტდება იმუნიტეტი. შესაძლებელია უძილობა, გულის და სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავება, სისხლის მიმოქცევის დარღვევა, რევმატიზმი, ციებ-ცხელება და კრუნჩხვები. ერიდეთ გადაღლასა და სტრესებს, ნუ გადააჭარბებთ საკუთარ შესაძლებლობებს.  
ხელსაყრელი დროა წამოწყებული საქმეების დამთავრებისათვის, ზავშეუბნებელი მეცადინეობისათვის, გასეირნებისათვის.  
**6 — მთვარის შვირთაბა იუპიტერთან ძალაღუბი.** შეიძლება, შეინიშნებოდეს ზიზღი და მიკერძოებულობა. შესაძლებელია, გადამშუშაველი ორგანოების დაავადებანი, ყაბ-ზობა, ნევრალგია, ნევრასთენია, ციებ-ცხელება. არ არის გამორიცხული ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებანი. აუცილებელია ვერიდოთ გადაღლას, კონფლიქტებსა და მღელვარებს, დავიცვათ დიეტა. უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, გამოვიყენოთ ხარისხიანი პროდუქტები, ვინაიდან არ არის გამორიცხული კვებითი მოწამვლები.  
კარგია ჩაივითარებული ფიტოთერაპია, ყურადღება დავუთმოთ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, მზადებას სერიოზული მკურნალობისათვის, დოკუმენტების გაფორმებისათვის.  
**7 — მთვარის შვირთაბა მარსთან და ვენერასთან ძალაღუბი.** ამ დღეს ჩვენი და მანასათებელი იქნება მსხველშობის უნარი, პრაქტიკულობა, გრძობების კონტროლს გაუნეებს გონება. სააღბათთა კუჭ-ნაწლავის მოძრაგი ფუნქციების დარღვევა (ყაბზობა, კუჭის შეკრულობა, ლიმფატური სისტემის დაავადებანი, თავის ტკივილები, უძილობა). კონტროლზე უნდა გვქონდეს ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობა. ფიზიკურმა და ფსიქიკურმა გადატვირთვებმა შეიძლება ნევროზთან მიგვიყვანოს. ერიდეთ ტრავმატიზმს, იყავით ფრთხილად ტრანსპორტში მგზავრობის დროს.  
ხელსაყრელი დროა წესრიგის დამყარებისათვის (მათ შორის გონებრივისაც), სამეცნიერო კვლევებისათვის, პროფილაქტიკური დათვალერებისათვის, ხელოვნებისათვის და ფიზიკური ვარჯიშებისათვის.

**11 — სახსი მთვარე, მთვარის შვირთაბა მარსთან.** დიდა ქრონიკულ დაავადებათა, გულის უკმარისობათა, ფსიქიკისა და ნევროზების გამწვავების ალბათობა. შესაძლებელია შარდსაქესო სფეროს და სასუნთქი ორგანოების დაავადებანი. არ არის გამორიცხული ზურგის კუნთების და მხრების ნევრალგია, ტკივილები მხრების სახსრებსა და ხლებში. ერიდეთ გაცივებასა და ინფექციებს, სტრესებს, ფიზიკურ და ფსიქიკურ გადატვირთვებს. ფრთხილად იყავით ტრანსპორტით მგზავრობის დროს. გადადეთ ახალი საქმეების წამოწყება, გეგმების შედგენა და დოკუმენტებისთვის ხელის მოწერა.  
**13 — მთვარის შვირთაბა სატურთან შვირთაბა.** შეიძლება ვიგრძნოთ მარტობის შიში, გაგჭიმოთ დრო გადაუნყვეტელ პრობლემებზე. შესაძლებელია ღვიძლი-სა და ნადღების ბუშტის დაავადებათა, სისხლის მიმოქცევის ვეროზური სისტემის გამწვავება. სააღბათთა ტკივილები თქმოს სახსრებში. მუსკლებში, საჯდომი ნერვის ანთება, რადიკულიტი. აუცილებელია ვერიდოთ გაცივებასა და ზედმეტ გადატვირთვას. არ შეიძლება სიმძიმეების აწევა, ალკოჰოლის მოხმარება, მძიმე და ცხიმიანი საკვების მიღება. ახალ ვალდებულებათა აღების დროს ჯერ შეამოწმეთ საკუთარი ძალები და შესაძლებლობანი. სასარგებლოა მასაჟი, სასუნთქი ვარჯიში, გასეირნება. მეტად სასიამოვნოა ტაძრის მონახულება.  
**16 — მთვარის შვირთაბა ალტონთან თხის რაბი.** შეიძლება, შეინიშნებოდეს ალგუნებობა, თავშეუკავებლობა, სურვილი, მოვახდინოთ ადამიანებით მანიპულირება, უსიამოვნებათა მტკივნეული აღქმა. იზრდება გაცივების დაავადებათა ალბათობა. შესაძლებელია ტკივილები სახსრებში, კუნთებში, რევმატიზმის, ოსტეოქონდროზის, ართრიტისა და ართროზის გამწვავება. რეკომენდებულია სხეული გვერდის სითბოში. ვერიდეთ ფიზიკურ და ნერვულ გადაღლილობას, ფიზიკურ გადატვირთვას და სიმძიმეების აწევას, არ ჩავერთოთ კონფლიქტებს.

**19 — მთვარის პირველი მართალი.** შეიძლება, შეინიშნებოდეს ემოციურობა, მგრძობელობა, ოცნება, უყურადღებობა. შესაძლებელია ფსიქიკური და კანის ალერგიულ დაავადებათა გამწვავება, ტკივილები ფეხების სახსრებსა და კუნთებში, შეშუპება. არ არის სასურველი ხანგრძლივი სიარული, დგომა, სიმძიმეების გადატანა. გაძლიერებულია ენერგეტიკამ და ურთიერთგაუგებრობამ შეიძლება მოახდინოს კონფლიქტების პროვოცირება, ამიტომ მოლაპარაკება და ურთიერთობათა გარკვევა უმჯობესია, სხვა დღისთვის გადავდეთ.  
**20 — მთვარის შვირთაბა ნეპტუნთან თხისაბი.** შეიძლება შეინიშნებოდეს არაადეკვატური და ფსიქოპათიური რეაქციები, მგრძობელობა, დაბნეულობა, ჩამოყალიბებულ ვითარებათა და გარემო მყოფი ადამიანების არასწორი შეფასება. არ არის გამორიცხული ნერვული სისტემის, სისხლის, თვალის, ფეხების დაავადებათა გამწვავება, ნუ გადაღლით თვალსაშენი პროგრამების ყურებით. ნიგნების კითხვით, მუშაობით კომპიუტერთან. ზომიერმა გასეირნებამ არ უნდა გადატვირთოს ფეხები. შეიძლება, ოდნავ შევზღუდოთ სითხის მოხმარება, რომ ფეხები არ შეგვისიდეს. ერიდეთ მოწამვლას კვების პროდუქტებით ან ქიმიური ნივთიერებებით, მოჭყუვებასა და ტრავმატიზმს.  
**22 — მთვარის შვირთაბა შარსთან შვირთაბი.** მთვარის დაბაბულები ასექტები. შესაძლებელია გაღიზიანებულობა, სიკვითე, აფეთქებულობა. შეიძლება, შეგვანუნოს თავის ტკივილებმა, ცუდმა ძილმა, სახის, ყურების, თვალის ტკივილებმა. ნერვული სისტემა ძლიერ იტანჯება გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვისაგან. რეკომენდებულია დავიცვათ ძილისა და დასვენების რეჟიმი, დიეტა, უარი ვთქვათ სიმიანი საკვებზე და ალგუნებულ საშუალებებზე, ალკოჰოლზე, შოკოლადზე, მონევაზე. ერიდეთ ტრავმატიზმს, დაცემას, აცილებთ თავზე დარტყმები.  
სასარგებლოა გასეირნება სუფთა ჰაერზე, ფიზიკური ვარჯიშები, შემოქმედებითი მეცადინეობა.  
**26 — სახსი მთვარე, მთვარის დაბაბულები ასაბი.** შესაძლებელია პათოლოგიური და არაადეკვატური რეაქციები, ემოციური გაუთანასწორობელობა, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა. სააღბათთა არტერიული წნევის ვარდნები, გულის შეტევები, დაავადება ეშუქრება ფილტვებს, ბრონქებს, მხრებს, ხელებს. შესაძლებელია ოსტეოქონდროზისა და რევმატიზმის გამწვავება მხრებისა და ზურგის ზედა ნაწილებში. გადაღლისა და ზედმეტი ალგუნების გამო შეიძლება დაიარკვეს საკვების გადაშეშების სისტემა. ერიდეთ უსარგებლო კონტაქტებს, ემოციურ და ფიზიკურ დატვირთვებს, გააკონტროლეთ საკუთარი ძალები და შესაძლებლობანი.  
სასარგებლოა აბანო, გამწმენდი პროცედურები, სუნთქვით ვარჯიშები, იყავით ყურადღებიანი და ფრთხილი ტრანსპორტში მგზავრობის დროს.



ჩვენი კარავადინი

# ნერვო გვერდით ჩაიფრინა

## რაბო არ გამოდის. რომ მამა გავხდეთ

„ერთი მოუქნელი მოძრაობა – და შენ მამა ხარ“, – ხუმრობდა ყვანეცკი. მაგრამ ძლიერი სქესის ყველა წარმომადგენელს როდი აქვს ბედნიერება გახდეს მამა ასე იოლად.

უნაყოფობა – ამჟამინდელი საუკუნის ეპიდემიაა. მხოლოდ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით ექიმთან მისვლა ხომ სამ-



ჯერ გაიზარდა. დღეს ყოველ მეხუთე ცოლქმრულ წყვილს აქვს სირთულეები ჩასახვასთან დაკავშირებით. თანაც თუ ადრე უშვილობის დროს მიღებული იყო ყოველთვის ქალი დაგვედანაშაულებინა, დღეს დადასტურებულია: ბრაღი იმაში, რომ წერო დაჟინებით უვლის გვერდს ოჯახს, თანაბრად ეკუთვნის ორივე მეუღლეს. და, მართალია, ტრადიციულად ექიმთან პირველად ქალი მიდის, ნამდვილმა მამაკაცმა უნდა მონახოს თავის თავში ვაჟკაცობა – ჩაიტაროს გამოკვლევა.

### საიდან სირთულეები?

ბევრი მამაკაცი დარწმუნებულია, რომ თუ მათ არა აქვთ პრობლემები სექსში, მაშინ არც ფერტილურობის (ორგანიზმის უნარი წარმოქმნას შთამომავლობა) პრობლემა იქნება. საუბედუროდ, ეს ასე არაა. მამაკაცის უნაყოფობასთან მიყვანა ბევრ რამეს შეუძლია. ესაა სასქესო ორგანოების ტრავმებიც, გადატანილი ანთებითი დაავადებანიც (პროსტატიტი, ეპიდემიტი), მათ შორის სქესობრივი ინფექციებით გამოწვეული, ქირურგიული პათოლოგიებიც (ვარიკოცელე, წყლის კვერცხი), ჰორმონალური დარღვევებიც, აუტოიმუნური დაავადებანიც.

დიდ როლს ასრულებს ცხოვრების წესი. თუ იგი შორსაა ჯანსაღი ცხოვრებისაგან, მამობის შანსი ქვეითდება. ფიზიკური აქტიურობის ნაკლებობა, მონევა, ზედმეტი წონა, ალკოჰოლისა და სხვა ტოქსიკური და ფსიქოაქტიური ნივთიერებების ბოროტად გამოყენება – ყოველივე ამას ერთად და ცალ-ცალკეც შეუძლია უნაყოფობამდე მიგვიყვანოს. არის სხვა მომეტებულიც. მაგალითად, მამაკაცებისთვის მნიშვნელოვანია აქვს თავიდან აიცილოს სასქესო ორგანოების გადახურება (რაც ხშირად შეუნიშნებიათ, ვთქვათ, მძლოლებს), აგრეთვე ყურადღება მიაქციონ თავიანთ რაციონს, ვინაიდან ვიტამინების, ცილებისა და კვების სხვა მნიშვნელოვანი კომპონენტების უკმარისობა ასევე შეიძლება აისახოს ჩასახვის პრობლემებზე.

### მეფლაზერი

#### დავინჯოთ თავიანთი

მამაკაცის უნაყოფობის საფუძველში ყველაზე ხშირად შემდეგი პრობლემები:

- სპერმატოზოიდების არასრულფასოვნება (მათი მოძრაობისა და სიცოცხლისუნარიანობის დარღვევა);
- მათი რიცხვის მკვეთრი შემცირება;

### მათი წინსვლა სათესლე გზებით და გარეთ გამოსვლის პრობლემები.

ამიტომ პირველი ანალიზი, რომელსაც აბარებს მამაკაცი, ვინაც ექიმ-ანდროლოგს ან რეპროდუქტოლოგს მიმართა, არის სპერმოგრამა. სამწუხაროდ, ეს ანალიზი ხშირად მნიშვნელოვან შედეგებს არ იძლევა. თუმცა ეს განაჩენი როდია, ხომ არსებობს უამრავი შესაძლებლობები – მოახდინოს გავლენა სპერმის გამოშვებასა და ხარისხზე. მათ შორის მედიკამენტების დახმარებით, რომელთა შერჩევაში ექიმი აუცილებლად დაგვეხმარება.

სხვათა შორის, მარტო ნაშლევის იმედი არ უნდა გვექონდეს – ბევრი რამ თავად მამაკაცზეა დამოკიდებული. ქალს ყველა კვერცხუჯრედი ჩადებული აქვს დაბადებიდან, უბრალოდ მნიშვნელოვან რიგის მიხედვით. აი სპერმა კი გამოშვებულა სიცოცხლის განმავლობაში. სპერმატოზოიდის განვითარების ციკლი 72-76 დღეა, ეს კი ნიშნავს იმას, რომ სპერმა მთლიანად შეიძლება განახლდეს სულ სამი თვის განმავლობაში. ამიტომ ჯანმრთელობის საერთო განმტკიცებას, მკვნი ჩვევებისაგან განთავისუფლებას, რაციონის შეცვლას, ინფექციებისგან განკურნებას, ფიზიკურ აქტიურობას შეუძლიათ სწრაფად გააუმჯობესონ სპერმოგრამის მაჩვენებლები.

### მეფლაზე კვირვასი წვლილი

სამწუხაროდ, ბავშვების გაჩენის დაგეგმვა ჯერ კიდევ ვერ იქცა საერთო წესად ყველა ოჯახში. განვითარებულ ქვეყნებშიც კი ფესმძიმობის მხოლოდ 51 პროცენტი იყო დაგეგმილი. ბევრი ქალი აღნიშნავს, რომ მათი ბოლო ფესმძიმობა შემთხვევითი იყო.

ცნობილია, რომ ბავშვების შეგნებული გაჩენისა და ჩასახვის დაგეგმვისადმი მიდგომის დროს შანსი – შობონ ჯანსაღი მემკვიდრეები – არსებითად უფრო მაღალია. ამიტომ მამაკაცის მიერ უარის თქმა იმ მავნე ჩვევებზე, რომლებსაც შეუძლიათ გამოინვიონ პრობლემები სპერმატოზოიდთან დაკავშირებით, და ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა იმ პრეპარატების მიღებასთან ერთად, რომლებიც აუმჯობესებენ სპერმის ხარისხს, ხელს უწყობენ არა მარტო ფესმძიმობის სწრაფად დადგომას, არამედ მის უფრო ხელსაყრელ შედეგსაც. ესაა ის მნიშვნელოვანი ბიოლოგიური და გენეტიკური წვლილი მემკვიდრეობის ჩასახვასა და მუცლით ტარებაში, რომელიც აუცილებლად უნდა შეიტანოს ყოველმა ნამდვილმა მამაკაცმა.



**ყურადღება!**

დიდ დილმობში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავებით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.

**ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

**პასიენთთა საყურადღებოდ!**

ეს არ არის რეკლამა! სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწესებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

**ყურადღება!**

ძირაშეშება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლულის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესო საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.

მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი – მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი. ტელ: 599 370035, მანანა.

**რეკლამა მარაზლის ქ. №7.**

**2 93-37-87.**

**ცინცხალი ანეკდოტები**

– ბამბრჯობა, მისი როგორ ცხოვრობ? – რას მეკითხები, ერთ ქვეყანაში არა გცხოვრობთ?

\*\*\*

**სიღარიბის სამი სტადია:**

1. ფული არა მაქვს.
2. საერთოდ არა მაქვს ფული.
3. დოლარის (ევროს) გადახურდავება მომიწევს.

\*\*\*

**ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს:**

– როგორ არის შენი ცოლი?

– ზეცაშია.

– რას მეუბნები ღმერთმა აცხონოს საწვადი.

– არა, კაცო, სწორად ვერ გამოიგე, უნდა მეთქვა, სტიუარდესად მუშაობს-მეთქი.

\*\*\*

– მამი, დაგვაგაღეს, რომ ჩვენ-ჩვენი ოჯახების შესახებ დაწეროთ საშინაო დავალება: რა დავარქვა ჩემს ნანერს: „მამაჩემი ბევრს მუშაობს“ თუ „მამას კარგი შემოსავალი აქვს?“

– რაც გინდა, ის დაარქვი, მაგრამ ბოლოში აუცილებლად მიაწერე, საკლასო ოთახის გასარემონტებლად აწი ფულს არ დადებ-სეთქი.



**ავტორთა საყურადღებოდ!**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**საქართველოს რესპუბლიკა**

**საქართველოს რესპუბლიკის გამომცემელი**

**საკართველოს რესპუბლიკის გამომცემელი**

**მარაზლის ქ. №7**

ინფორმაცია 66434

**გამომცემელი:** შპს „მანაგომი-1“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79) შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოში“ გრ. რობაქიძის №7

uae(უაე)070.4(479.22) 5-323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

**მთავარი რედაქტორი**

**ალეკო ასლანიშვილი**

**293-37-87; 599 56-81-86**

**პასუხისმგებელი რედაქტორები:**

**გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16;**

**რუსლან რუსია 599 17-21-21;**

**სპარტაკ ძოგუშვილი 599 36-00-35**

პასუხისმგებელი მდივანი

**მამუკა ვაშაქიძე**